ორშაბათი, 27 ივლისი 1915 წ.

იმერეთი

№ 21

წელიწადი მეოთხე

მისამართი: ქუთაისი რედაქცია გაზ. „იმერეთი"

ფასი: წლიურად 2 მ. 50 კ. ნახევარი წლით 1 მ. 50 კ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. საზღვარგარეთ ორჯერ [illegible]

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი [illegible]ზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ.—უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ ნაშვადღევს 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

27 ივლისიდან გამოდის ყოველდღიური

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„იმერეთი"

გაზეთი გამოდის უქაღალდობის გამო დროებით კვირაში ერთხელ

გაზეთი ღირს:

1 წლ. 2 მ. 50 კ., 6 თვით 1 მ. 50 კ., 1 თვით 25 კაპ., საზღვარგარეთ—ორჯერ მეტი.

მისამართი: ქუთაისი, ქარვასლის ქუჩა, სტამბა „ძმობა"

ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: Кутаисъ, Редакція „ИМЕРЕТИ".

რედაქციის კანტორაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება დილის 10—2 საათ., საღამოს 6—8 საათამდი.

რედაქცია სთხოვს კორესპონდენციების ავტორებს სწერონ ქაღალდის ცალ გვერდზე გარკვევით. წვრილმან წერილების გამო რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. მისამართი: Кутаисъ, Ред. „ИМЕРЕТИ".

ომი

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან).

ათინა. 24 მკათათვე. გუშინ საღამოს ოთხთა შეთანხმების ელჩებმა გუნარისი ინახულეს, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, რომელიც დროებით ასრულებს გარეშე საქმეთა მინისტრის მოვალეობას. მინისტრების ნახვის შემდეგ გუნარისი ტატოის წავიდა მეფეს მოხსენება გაუკეთოს ფიქრობენ, რომ მეფის ნახვა ბალკანეთის საქმეებს შეეხება და შესაძლებელია ბალკანეთის სახელმწიფოებმა მოკავშირეთა სამხედრო მოქმედებებს ხელი შეუწყონ, გუნარისმა ათინაში დაბრუნების შემდეგ გარეშე საქმეთა სამინისტროს განყოფილებების უფროსებთან ბევრი იმუშავა, დიპლომატიურ წყაროებიდან გამოსულ დეპეშების თანავე საღამოს გაზეთებმა ნოტის ასლი დასტამბეს იმ ნოტისა, რომელიც სოფიის მთავრობას ოთხთა შეთანხმების წარმომადგენლებისგან ჩაჰბარდა, აგრეთვე გუნარისის მთავრობის ცნობა ბულგარეთს ოთხთა შეთანხმების სახელმწიფოები იხმობენ და დახმარებისთვის შემდეგ ჩამონაჭრებს ჰპირდებიან: უპირველესად შესრულებული იქნება ბულგარეთისა და სერბიის შორის ხელშეკრულობა დადებული 1912 წ. ესე—იგი ბულგარეთს დაეთმობა მთელი ჩრდილოეთის მაკედონია მერე ბულგარეთს საბერძნეთში დაეთმობა ის ჩამონაჭრები, რომელიც კავალის უკან მდებარეობენ. ეს ტერიტორიული სამონაჭრები დაეთმობა ომის დამთავრების თანავე როგორც—კი სერბია სხვა ადგილებში სამაგიეროს მიიღებს და საბერძნეთი მცირე აზიაში.

რომი. 24 მკათათვე. მთავარი ბანაკიდან 23 მკათათვის ცნობა: კორდევოლეს ველზე ჩვენ შეტევით მოქმედებას ვაგრძობდით ვისწრაფოდით კოლდილანის აღება დაგვემთავრებინა, სადაც დაწყებული 4 მკათათვიდან 14—დე ბრძოლების დროს ჩვენ სალასეი—პიევოლავინის—ლონცის აგაის მიმართულებით მტრის წინა სანგარები დავიჭირეთ. მტრის ძლიერი ცეცხლის ქვეშ ჩვენმა ქვეითა ჯარმა, რომელსაც არტილერია ეხმარებოდა კოლდილანოსკენ იერიშით გამაგრებული სიმაგრე დაიპყრო. კაროში ჩვენ შუაგულ ჯარისა და მარცხენა ფრთის შეტევის შეჩერების მიზნით ნაშუადღევს მტერმა კაზუჩიოს ტყის მიმართულებით იერიში მოიტანა ჩვენმა ჯარმა იერიშს გაუძლო თავის მხრით შეუტია და შტურმით დიდი სიმაგრე დაიპყრო აგრეთვე წოდებული ტრინჩერონი, რომელსაც მთავარი ადგილი უჭირავს კაზუჩიოს ტყის აღმოსავლეთ გამოსავალთან და აგრეთვე სანმარტინოდელკარსთან მიდამოებში. საღამოს დაგვიანებით მტერი ცდილობდა ჩვენ ხაზებზე ხელახლად იერიშების მოტანას, რომელსაც ზარბაზნები ეხმარებოდნენ მაინც ვერავითარ შედეგს ვერ მიაღწია.

ლონდონი. 10 მკათათვე. ფერდმაშალი ფრენჩი იტყობინება: 17 მკათათვის ბრძოლა გერმანელების იერიშის შემდეგ, რომელსაც 17 მკათათვის ცნობაში ვწერდით მტრის მიერ დაჭერილ თხრილების ნაწილის წართმევით დამთავრდა გოოჟიდან აღმოსავლეთით. უმთავრესათ საარტილერიო ბრძოლა იყო საღამოს ქვეითა ჯარის ორი იერიში წარმატებით მოვიგერიეთ. 19 მკათათვეს ქვეითა ჯარს არ უმოქმედნია.

პეტროგრადი. 24 მკათათვე. მთავარ სარდლის შტაბის ოფიციალური ცნობა: დვინასა და ნემანს შუა მდგომარეობა უცვლელია. 23 მკათათვეს მდ. პიევსის ტოტების რაიონში გერმანელებმა იერიში მოიტანეს, წარმატებით უკუვაგდეთ. მდ. ნარევის მარცხენა ნაპირზე 23 მკათათვის წინა ღამეს და მეორე მთელ დღეს შეუპოვარმა ბრძოლამ გასტანა როჟანიდან და ოსტროლენკიდან კუნძულისკენ მიმავალ გზებზე. ჩვენმა ენერგიულმა კონტრიერიშებმა ზემოხსენებულ მდინარიდან ათ ვერსზე გაჭიმულ პირზე მტერი შეაჩერა. რამდენიმე ასეული დავატყვევეთ. ცეცხლით გაალმასებული ბრძოლა გრძელდებოდა. ვისლის სარტყლის პირზე ჩვენი ჯარის უკანდაწევის შემდეგ მდინარე ტიხოს მარჯვენა ნაპირზე ვარშავა დავტოვეთ რათა ყუმბარების დაშენას აგვეცდინა. მაციევიცეს რაიონში მტრის ჯარი უშედეგოთ ცდილობდა დაჭერილი რაიონი გაეფართოვებინათ. ვისლასა და ბუგს შუა 23 მკათათვეს შოსე—ტრავნიკი—ვლოდავიდან აღმოსავლეთით ბრძოლები მეტათ შეუპოვარი იყო, სადაც მტერმა არტილერიის დიდი ცეცხლი დაიგულა იძულებული გახდა ჩვენი ჯარი ჩრდილოეთისკენ დაეხივნა, ზოლოტოი ლიპაზე და დნესტრზე მდგომარეობა უცვლელია.

ნიში. 23 მკათათვე. სერბიის პრესბიურო იტყობინება: 21 მკათათვის დღეს ჩვენმა არტილერიამ მტერი გაფანტა, რომელმაც ორშავის ვაგზლის ახლო თხრილები გაიკეთა იმავე დღეს საღამოს ტეკიის ახლო საარტილერიო ბრძოლა გაიმართა ჩვენმა არტილერიამ მტრის ბატარეიები ჩააჩუმა. 22 მკათათვის წინა ღამეს მტერმა სავის ნაპირებთან რამდენიმე ადგილას ცეცხლი დაგვიშინა რათა აქ თავი შეეფარებინა ჩვენმა ცეცხლმა მტრის მუშაობას ხელი შეუშალა.

ათინა. 23 მკათათვე. კუნძულ მიტილენიდან იტყობინებიან დარდანელზე გაგრძელებულ ყუმბარების დაშენას აგრეთვე ქვეითა ჯარის ბრძოლებს, კუნძულ ლემონსზე მოკავშირების მიერ 90000 ჯარის კაცის დაგულების შესახებ ცნობა მტკიცდება, მოკავშირებს ნახევარ კუნძულზე მძიმე არტილერია გადააქვთ, გერმანიის წყალქვეშა ნავი სრუტეებიდან გამოვიდა აივლის ყურეში სათადარიგოების შესავსებათ, მოკავშირეთა ფლოტმა წყალქვეშა ნავს გამოსავალი გზა შეუკრა მავთულის ხლართებით ყურედან გასავალ ადგილებში გააბეს ხომალდები ჩაძირეს ამნაირათ უნდათ გერმანიის წყალქვეშა ნავის მოსპობა.

პარიზი. 24 მკათათვე. ოფიციალური. ღამის 11 საათზე არტუაში სომსა და უაზას შუა და ენის ველზე საარტილერიო ბრძოლა იყო. არგონის დასავლეთ ნაწილში მთელ დღეს მტერი ჩვენ თხრილებს ყველა ყალიბის ზარბაზნებიდან ესროდა ჩვენი არტილერია და ყუმბარისმტყორცნელები უპასუხებდნენ. აპრემონის ტყეში არტილერიის ძლიერი ცეცხლია. ვოგეზებზე დღემ წყნარათ ჩაიარა.

პარიზი. 24 მკათათვე. დღის ოფიციალური ცნობა: არტუაში სუშეს ირგვლივ სახელდახელო გრანატებით იყო ბრძოლა მთელი ღამის განმავლობაში. ნევილსენვაასტის წინ მტრის იერიში ადვილათ მოვიგერიეთ. არგონებზე მგლეჯი და სატყორცნი ყუმბარებით იყო ბრძოლა ბრძოლაში მონაწილეობას იღებდა არტილერია, რამაც ინტენსიური ხასიათი მიიღო განსაკუთრებით 213-სიმაღლის ირგვლივ ფონ-ტერმორმის რაიონში და სენტიუბრის მიმართულებით. 216-სიმაღლიდან დასავლეთისკენ გერმანელები თხრილებიდან გამოსვლას შეეცადნენ ჩვენმა ცეცხლმა იმ საათშივე შეაჩერა. მაასის მარჯვენა ნაპირზე ბუაოსთან მტერმა ჩვენ ჯარზე ორჯერ უშედეგოთ მოიტანა იერიში სახელდახელო გრანატებით და ქვეითა ჯარის ცეცხლით მოგერიებულ იქნა ლოტარინგიაში გერმანელებმა ღამით სოფელ ამბერმენილს ყუმბარებს უშენდნენ და აგრეთვე ჩვენ პოზიციებს გელონეს ირგვლივ. გერმანელების ორმა მფრინავმა ფრეზზე მდ. მერტის ველზე 10—დე ყუმბარა ჩამოაგდეს, რომლისგან ორი ქალი და ერთი ჯარის კაცია მოკლული. ვოგეზებზე ღამემ წყნარათ განვლო დარდანელზე მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა 19 მკათათვიდან იქ გამუდმებული საარტილერიო ბრძოლებია მფრინავები ძალიან მოქმედობენ.

პარიზი. 25 მკათათვე. ოფიციალური. ღამემ წყნარათ განვლო ჯარისპირის დასავლეთ ნაწილში რამდენიმე შეტაკება მოხდა სუშეს ირგვლივ საარტილერიო ბრძოლებია და აგრეთვე ტრასილევალ — ბერიობაკის რაიონებში. დასავლეთ არგონებზე ყოველთვის გახალისებული ბრძოლაა პეტარდებით და სახელდახელო ყუმბარებით. 216-სიმაღლის რაიონში მტრის იერიში მოგერებულია. ლოტარინგიაში გერმანელების მზვერავთა ძლიერი რაზმი ლენტრეს ახლო ჩვენი ცეცხლით გაფანტულია. ვოგეზებზე მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა.

პეტროგრადი. 25 მკათათვე. კავკასიის ჯარის შტაბისაგან 23 მკათათვის ოფიციალური ცნობა: ზღვისპირის რაიონში თოფისა და ზარბაზნების სროლაა. ოლთინის გზით ოსმალების ყველა შეუპოვარი იერიშები არტილერიის ძლიერი ცეცხლის შემწეობით მოვიგერიეთ და შევინარჩუნეთ ოსმალებს რაც პოზიციები წავართვით. ოსმალები რაც ძალი და ღონეს შესწევთ თხრილებს იკეთებენ. სარაყამიშისგზით ჩვენთვის სახეირო შეხვედრითი ბრძოლაა. მერგამირის უღელტეხილის რაიონში შეტაკებები ვითარდებიან. ალაშკერტის გზით ჩვენი მოქმედებანი ვითარდებოდნენ ჩვენ სასარგებლოთ. ოსმალების ერთი დიდმნიშვნელოვანი პოზიცია მაღლობ უღელტეხილზე ზურგიდან წამოვლით მამაცური ხიშტიანი იერიშით დავიჭირეთ ბევრი დავჩეხეთ, აგრეთვე ბევრი დავატყვევეთ, ტყვიის მფრქვეველები და სხვა იარაღი ვიხელთეთ.

პეტროგრადი. 25 მკათათვე. ოფიციალური ცნობა მთავარ სარდლის შტაბისაგან: დვინისა და ნემანის შუა 24 მკათათვის ჯარის პირის უცვლელათ ბრძოლები გრძელდებოდა. კოვნოსთან სიმაგრის წინა პოზიციებზე მტერს იერიშები მიაქვს ნემანის მარცხენა ნაპირზე ჩვენი მძიმე ბატარეიები მხნეთ ესვრიან ცეცხლს. ოსოვეცთან 24 მკათათვეს განთიადისას მტერმა ცეცხლი გააძლიერა გამოუშო საწამლავი ბოლი სიმაგრეების პოზიციებზე იერიში მოიტანა სოსნისთან სიმაგრეები დაიჭირა, მაგრამ ცეცხლით და კონტრიერიშებით ყველგან მოგერებული იქნენ. ნარევზე შეუპოვარი ბრძოლაა. ოსტროვსკენ მიმავალ გზებზე 24 მკათათვეს რამდენიმე სისხლის მღვრელ იერიშების შემდეგ მტერმა რამდენიმეთ წინწაწევა და დაჭერილი ადგილის გაფართოვება მოახერხა. მტრის გაალმასებული იერიშები სეროცკის რაიონში წინა დღეს საღამოს ჩვენგან წარმატებით მოგერებულია. ვისლაზე სროლაა ჩვენი მძიმე არტილერია წარმატებით ესროდა 24 მკათათვის წინა ღამეს მტერს, რომელიც ვისლაზე ხიდებს აკეთებდა. ვისლასა და ბუგს შუა კუროვიდან კონსკის მიმართულებით უფრო შეუპოვარი ბრძოლები იყო აგრეთვე ვეპრჟის მარჯვენა ნაპირის რაიონში ლენჩნის ჩრდილოეთით. ბუგზე, ზოლოტოი ლიპაზე და დნესტრზე მდგომარეობა უცვლელია.

კოპენჰაგენი. 24 მკათათვე. ამორჩეულია წევრები მუდმივი საერთაშორისო საგამომძიებლო კომისიისა, რომელიც დაარსებულია დანიისა და შეერთებულ შტატების ხელშეკრულობის თანახმათ.

სტოკჰოლმი. 24 მკათათვე. აკრძალულია სანთლის გატანა. ბერლინიდან იტყობინებიან: ბანკებში მოსამსახურეთა დიდი სინაკლეა ჯარის ახლათ მოკრეფის გამო.

სტოკჰოლმი. 24 მკათათვე. ვენიდან იტყობინებიან, რომ ვაჭრობის მინისტრის უნებართვოთ მატყლის დამუშავება აკრძალულია, სადაც ავსტრო-უნგრეთის ცენტრალური ბიუროები უნდა დაარსონ მატყლეულობის შესასყიდათ და წარმოების კანტროლის გასაწევათ, ბერლინში მალე გამოვა საცნობიერო გაზეთი სათაურით: რუსეთ — გერმანიის ეკონომიური ომი. სხვათა შორის აღნუსხული იქნება ის მიწები, რომლებიც გერმანელებს რუსეთში ჩამოერთვათ. განსაკუთრებული ყურადღება იქნება მიქცეული რუსეთის პოლონეთზე.

პეტროგრადი. 24 მკათათვე. მინისტრთა საბჭომ მოიწონა აღნუსხვა ყველა იმ ცნობებისა, რომელიც რუსეთის შინაურ და უშიშრობას შეეხება მის ზღვით და ხმელეთით დაცვას, გამოქვეყნება პრესის საშუალებით ან ლაპარაკით გავრცელება სახალხოთ აკრძალულია გარდა დამატებით გამოქვეყნებულის 26 მკათათვეს და 14 თებერვალს 1914 წ.

ქრისტიანია. 24 მკათათვე. სტორტინში შეტანილია კანონპროექტი 27 მილ. სესხათ აღების შესახებ უკვე სესხათ აღებულ 33 მილიონის გარდა.

სოციალ-დემოკრატი დავიდი.

გერმანელმა სოციალ-დემოკრატმა დავიდმა ერთ პარტიულ გაზეთში წერილი მოათავსა, სადაც ამტკიცებს: ვიდრე გერმანიის მტრები არ დარწმუნდებიან ჩვენს უძლეველობაში და ვიდრე იგინი ხელს არ აიღებენ გერმანიის განადგურების პრინციპზე, მანამ ჩვენი ქვეყანა უზრუნველყოფილი არ არის ხიფათისაგან და ომის მიზანი არაა მიღწეული.

ვიდრე გერმანიის მტრებს გამარჯვების იმედი აქვთ, იგინი უაჰრყოფენ ყველა საზავო მოსაზრებებს, რომელიც გერმანელთაგან გამომდინარეობს. ამიტომ გერმანიის სოციალ-დემოკრატიამ მთელი ძალღონე იქით უნდა მიჰმართოს, რომ ერთის მხრით უფრო მეტად გააუმჯობესოს ომის პირობები და მეორეს მხრით ეცადოს, რომ ხალხმა წინააღმდეგობის უნარი შეინარჩუნოს. (რ.)

ომი და ახალი ინტერნაციონალი.

ავგუსტ ვინნიგი, რომელსაც გერმანიის სოციალ-დემოკრატიების მთავარი გამოცემა ნამდვილ პარტიულ მუშაკად აღიარებს და პროფესიონალური მოძრაობის უნიჭიერეს მეთაურად სცნობს.

სოციალისტური ინტერნაციონალის შესახებ სწერს: „მსოფლიო ომის პირველი დღიდანვე გაწყდა სოციალისტურ ინტერნაციონალის ჯაჭვი. ყოვლის უწინარეს გაჰქრა თავისებური დამოკიდებულება სოციალისტური პარტიებისა ეროვნულ სახელმწიფოებზე. ომამდე ერთად მყოფნი სხვადასხვა ქვეყნის სოციალისტები — ეხლა პოლიტიკური მოწინააღმდეგენი არიან არა მხოლოდ თანამედროვე მდგომარეობის გავლენით, არამედ თავის შეხედულებებითა და ინტერესებით. ეს ჭეშმარიტებაა. რა თქმა უნდა, შემდეგში სოციალისტური პარტიები ისევ შეადგენენ საერთაშორისო კავშირს, ახალ ინტერნაციონალს, მაგრამ როდესაც და როგორაც არ უნდა მოხდეს ეს—ახალი ინტერნაციონალის საფუძველი იქნება სულ სხვა, ვინემ ძველი ინტერნაციონალისა, მან უნდა შეითვისოს სხვა სულიერი შინაარსი და სხვა წესები საერთო მუშაობის, თუ რა თქმა უნდა ყოველივე დამოკიდებულება უბრალო დეკორაციად არ გვინდა დარჩეს" („რუსკ. მისლ").

პარიზი. პარლამენტის ჯგუფები იმ აზრის არიან, რომ პარლამენტმა კონტროლი უნდა გაუწიოს და ყური უგდოს სამხედრო დაწესებულებათა მოქმედებას გარდა, რასაკვირველია, სამხედრო ოპერაციებისა. (რუს. სლ.)

ვარშავა. მცხოვრებთაგან შემდგარ კომიტეტს მთავრობამ გადასცა სანიტარული საქმეები, სატუსაღოების გამგეობა. ნება დართულია აგრეთვე მცხოვრებთაგან დარაჯთა შედგენა. (რუს. ვედ.)

„Daly Mall"-ში დაბეჭდილია ჯემს დენნის წერილი საჰაერო მინების შესახებ. როგორც ვიცით, წყალქვეშა ნავები და სხვა პატარა გემები სროლით ჩასძირავენ ხოლმე გემებს. ახლა ამგვარი მინების სროლა შესაძლებელი შეიქმნა ჰაერიდან ე. ი. ჰაეროპლანებიდან. მათ საშინელი განმანადგურებელი ძალა ჰქონიათ. მათი დამიზნება შეიძლება თურმე სამი ვერსის მანძილიდან. ამბობენ, გერმანელებს აუარებელი ასეთი მინა დაუმზადებიათ ლონდონზე თავდასასხმელად, იმავე დროს მათ გამოუგონებიათ ზარბაზნების ავტომატიურად გასატენი მოწყობილობა. ამგვარი ზარბაზნები თურმე იმდენად სჯობნიან ძველ ზარბაზნებს, რამდენადაც ტყვიის მფრქვეველნი უბრალო თოფებს (ზაკ. რეჩ.).

ქუთაისი 27 ივლისი

ისტორიამ საქართველოს ბედი რუსეთის ბედთან გადააბა და გადააჭდო. ამიტომ, რუსეთის ყოველივე წარმატება იმავე დროს საქართველოს წარმატებაც იქნება.

დიდი ისტორიული მომენტები ყოველთვის დიდ სოციალურ საკითხებს წარმოშობენ ხოლმე. და დღევანდელი საერთაშორისო ომი წარმოადგენს უძლიერეს ბიძგს, რომელიც შეჩერებულ ცხოვრებას კვლავ შესძრავს და წინ გააქანებს.

აუარაცხელია მსხვერპლი: აუარებელი ჭაბუკის სისხლი იღვრება მომავალ თაობათა ბედნიერებისათვის. ულმობელია და უსამართლო ისტორია. მაგრამ ასეთია მისი კანონი: ძვირად უჯდება კაცობრიობას სოციალური წინსვლა, პროგრესი.

ნეტარ იმას, ვინც სოციალური ცხოვრების განახლებას მოესწრება. და ვინც დღეს ბრძოლის ველზე გმირულად თავს სწირავს, ჰქონდეს მას [illegible] მისი სიკვდილი ფუძ[illegible] საფუძვლად დაედებ[illegible] და კერძოდ ს[illegible]

აკაკის გარდაცვალების გამო.

1.

მყინვარი სირმის თეთრი თმით ჭაღარათ უხუცესია,
შავ ღრუბლის ლეჩაქს იბურავს ვით მგლოვიარეთ წესია.
სამშობლოს ცისკრის მთიებმა სხივს, სხივი სტყორცნა ჩააწნა,
ერის სამსხვერპლოს სხივ-გაშლით მთელი სიცოცხლით დაადნა.
გულჩათხრობილი დუდუნებს, მტკვარი გულ ლახვარ სობილი,
რიონი მკვნესარ გულის თქმით შავშია გამოწყობილი.
ყვირილა ვიწრო კლდეთ შორის, ნაღველს აგუბებს მწარესა,
„აქ დაიბადა ჩემს მკერდზე, აქ მოკვდა ამავ მხარესა.
მგოსანი ერის დიდება, ერის სიცოცხლეთ შლილიო,
უკვდავ შვენებას გვირგვინით შემკული შემოსილიო."
მყინვარი სირმის თეთრი თმით, ჭაღარათ უხუცესია,
შავ ღრუბლის ლეჩაქს იბურავს, ვით მგლოვიარეთ წესია.
კვნესა, მწარ მოთქმათ ქვითინი, სისხლის ცრემლების ღვარია,
ტანჯულ ერს გულზე ლახვარი.. იქავ წამების ჯვარია..

2.

ყვავილი ნაზათ ირხევა, ბროლის თითები სწვდებიან,
კოლხეთის ტურფა ასულნი თეთრ კუბოს უმწკრივდებიან.
შუა დგას დედა ქართლისა ცრემლით ბანს ყვავილთ კონებსა,
უკულმართ წამთა დენანი წარსულ დღეთ მოაგონებსა.
კრეფენ ყვავილებს ასულნი სხივებს იჭერენ ნავთა,
სხივის ქინძისთავს ხმარობენ გვირგვინის დასაწნავათა.
ყვავილთ გულ-მკერდზე ნაზი ხმა იშლება ციურ ჟღერისა,
ლოცვა ეკმევა თეთრ კუბოს ზენაარსთ ბედის წერისა.
ყვავილი ნაზათ ირხევა, ბროლის თითები სწვდებიან,
კოლხეთის ტურფა ასულნი თეთრ კუბოს უმწკრივდებიან.
თავს ადგას დედა ქართლისა, შუბლს უკვდავება ჰფენია,
და კუბო ასულთ შვენებას ყვავილით მოუფენია.

ლადო მაჭავარიანი.

ქუთაისი, 27 იანვარი.

ცრემლის სიმი.

აქვითინდი ტანჯვის მხარევ, დაიფინე შავი ფარდა,
აღარ არის ვინც გეტრფოდა! აღარ გყავს, ვინც გიყვარდა!
... ისევ ძაძა... გლოვა... ვიში... ცრემლი... კვნესა... შავი ფლასი...
რომელს ვუთხრით ცივ სამარეს? ვინდა გვრჩება მისი ფასი?!.
სევდის ნისლი წარბშეჭმუხვნილს მოხვევია კავკასიონს
და კოლხეთი ცრემლში უნდა, რომ დაარჩოს მშფოთვარ რიონს,
ალაზანს და მკვნესარ იორს შექვითინებს გლოვით მტკვარი,
ქართველის დედას შავ ძაძაზე დასდენია ცრემლის ღვარი.
სიო კვნესის... ტყე ქვითინობს... წყალი სტირის... ჰკმინავს ქარი...
ვიში... კვნესა... ცრემლი... ურვა... ძაძა... ფლასი... გლოვა... ზარი!..

ქართლის დედავ, კვნესის ჰანგად შეიცვალე იავ-ნანა!
იქვითინე საქართველო! იქვითინე ცავ, ქვეყანა!
ზეცა ცრემლით იბურება, იალბუზის მთა ზანზარებს;
ქართლოსის ძევ, სევდის ცრემლი შეუერთე გლოვის ზარებს.

მე რაღა ვთქვა... მწარე სევდის მომხვევია გარს ხუნდები...
ტანჯვის ცეცხლში ფიქრი იწვის... ცრემლების ზღვათ ვიწურები...
რა ვიცოდი მე ბედკრულმა... ოჰ, ცხოვრება წამიერი...
ვისაც გუშინ ვუგალობე შვებით „მრავალ ჟამიერი",
ვის მორჩენას შევხაროდი, იცოცხლებდა კვლავ მეგონა,
იგი მოკვდა... აღარა მყავს... კუბოს ფიცარს ჩაეკონა.

სიმ. წეველი.

ქუთაისის საზოგადოების დადგენილება აკაკის დაკრძალვის შესახებ.

ორშაბათს, 26 იანვარს შავი ქვის დარბაზში შესდგა კრება ჩვენი სასიქადულო **აკაკის** დაკრძალვის-წესრიგის შემუშავების შესახებ. კრებას დაესწრნენ ქუთაისის კულტურულ დაწესებულებათა წარმომადგენლები. დაესწრნენ გარეშე პირებიც

კრების თავჯდომარეთ აირჩიეს კიტა აბაშიძე.

პირველი კითხვა იყო თუ სად უნდა დაკრძალონ საქართველოს დიდებული პოეტი. ამის შესახებ თ. **სოლ. წერეთელმა** სთქვა: ვიდრე ვილაპარაკებდეთ ამ კითხვის შესახებ საჭიროა ვიცოდეთ მგოსნის ანდერძი, თუ რა აზრისა იყო თვით მგოსანი დაკრძალვის შესახებ. ასეთივე მოსაზრება გამოსთქვეს გრ. ბარათაშვილმა და ტრ. ჯაფარიძემ.

აკაკის ანდერძის ამსრულებლების და პოეტის ნათესავის თ. პეტრე აბაშიძის თქმით ირკვევა, რომ პოეტს ერთი განსაკუთრებული აზრი არ ქონია ამის შესახებ. სერგო აბხაძე ამბობს, რომ ჩემთვის ხშირათ გამოუთქვამს პოეტს აზრი თავის დამარხვის შესახებო. მაგ. ერთ დროს აკაკის უნდოდა, რომ გელათში დავით აღმაშენებლის ფეხთით დასაფლავებულიყო. ამ კითხვამ დიდი კამათი გამოიწვია, უმრავლესობა მაინც იმ აზრისა იყო, რომ **აკაკის** ცხედარი თფილისში იყოს დაკრძალული. ი. ჩიქოვანის გრძნობიარე სიტყვის შემდეგ, ამის შესახებ უკვე ორი აზრი აღარ არსებობდა. თითქმის ერთხმათ მიღებულ იქნა პოეტის თბილისში დაკრძალვა.

შემდეგი კითხვა იყო თუ რომელ ადგილას უნდა დასაფლავდეს მგოსანი. კრებამ ერთხმად მიიღო, რომ მგოსანი უნდა დაკრძალონ მთაწმინდაში.

შემდეგ თავჯდომარემ სთქვა: უეჭველია ამას უნდა ხარჯი, ფულია საჭირო, რომ ეს საქმე კარგათ მოეწყოსო. ამის შესახებ კრებამ დაადგინა, რომ ქუთაის. საზოგადო დაწესებულებებმა უნდა გამოიღონ საჭირო თანხა. არავითარი კერძო ან ხელის მოწერით ან სიტყვიერათ ფულის მოკრეფა ამ საქმისათვის არ შეიძლება. დასაფლავების დღეთ კრებამ დანიშნა კვირა, 1 თებერვალი.

სილოვ ჩუნდაძის წინადადებით, კრებამ მიიღო შემდეგი: გამოცხადდეს პრესის საშუალებით, რომ გვირგვინები ჩვენი მგოსნის ცხედრის შესამკობათ საჭირო არ არის, ვინაიდან გვირგვინი იმას უნდა, ვისაც თავი არაფრით არ გამოუჩენია, აკაკი თვითონ გვირგვინია მთელი საქართველოისა. გვირგვინების მაგიერ, ვისაც სურს, ფული გამოგზავნოს აკაკის ფონდის გასაძლიერებლათო.

პოეტს მიერთმევა მხოლოდ ერთადერთი ხელოვნურად გაკეთებული დაფნის გვირგვინი ზედ წარწერით: „საქართველოსაგან თავის [illegible] შვილს" და ეს გვირგვინი უნდა ჩასტანდეს სამარეში.

შემდეგ აირჩიეს საორგანიზაციო კომიტეტი, რომელშიაც შედიან შემდეგი პირები: 1) კიტა აბაშიძე, 2) ევ. გეგეჭკორი, 3) ილ. ჩიქოვანი, 4) ია ეკალაძე, 5) გრ. გიორგაძე, 6) აკაკი ფაღავა 7) პავლე მდივანი, 8) ს. კილაძე, 9) გრ. ლაღიძე, 10) ილ. კაკაბაძე 11) კ. ჩხეიძე, 12) ილ. ბანდარია, 13) მიტრ. ლაღიძე, 14) პავლე იაშვილი, 15) ალ. გარსევანიშვილი და 16) რაჟ. დათეშიძე.

აკაკის.

—:—

ჩაუვარდა ბულბულს ენა,
წკრიალა ჩანგს დასწყდა სიმი,
ცის ცვარ-ნამი მზემ ასწურა,
ვარდს შეახმა ტუჩზე ღიმი.

—

სტირის ერი გულ მოკლული,
მოსთქვამენ მთის ყვავილები,
მშობელ ქვეყნის გლოვის ხმაზე
თვით მზეს სცვივა დღეს ცრემლები.
და მეც ვსტირი ძვირფას აღმზრდელს,
და მეც ვსტირი, ვსტირი გულით,
მსურს შევამკო მისი კუბო
წრფელ კურცხლების თაიგულით.

გრ. ცეცხლაძე.

ქალაქის საბჭოს სხდომა.

(მგოსან აკაკის გარდაცვალების გამო).

26 იანვარს, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში შესდგა ქალაქის საბჭოს კრება. ვიდრე კრება გაიხსნებოდა, ქალაქის მოურავმა აცნობა ხმოსნებს, რომ ჩვენი სასიქადულო და ეროვნული სიამაყის მგოსნის აკაკის გარდაცვალების გამო საქმეების გარჩევა სხვა დროისთვის უნდა გადაიდვასო. კრება შეუდგა იმ საკითხის გარჩევას, თუ სად აიგოს ძეგლი განსვენებული მგოსნის სახსოვრათ. ამ საკითხმა ხმოსნებს შორის დიდი კამათი გამოიწვია. ხმოსნები ორ ჯგუფათ გაიყვნენ. ერთმა ჯგუფმა წინადადება შეიტანა დაარსონ განსაკუთრებული ფონდი და ამ ფონდით მგოსნის სახსოვრათ აიგონ ქუთაისის ერთერთ მოედანზე შესაფერი ძეგლი. ამავე დროს ეს ჯგუფი იმის მომხრეც იყო, რომ თფილისშიაც აიგოს უფრო ძვირფასი ძეგლი. თავის აზრს პირველი ჯგუფი იმით ასაბუთებდა, რომ მგოსანი ქუთაისშია გაზრდილი, აქ დაასრულა გიმნაზია და სასურველია მისი ძეგლი ქუთაისშიც იყოსო.

მეორე ჯგუფმაც საჭიროთ სცნო დაარსდეს ფონდი ძეგლის ასაგებათ, ხოლო იმის ასაგებათ ადგილის არჩევა მიენდოს მთელ ქართველ ერს. კრებამ უკანასკნელი წინადადება მიიღო.

დასასრულ კრებამ შემდეგი დაადგინა:

1) დაესწროს განსვენებული მგოსნის დაკრძალვას (თუ ქუთაისში მოხდა) ყველა ხმოსანი და ქალაქის გამგეობა; თუ აქ არ მოხდა, დეპუტაცია გაიგზავნოს.

2) გადასდვას ქალაქმა 500 მან. ძეგლის ფონდის გასაძლიერებლათ;

3) დაინიშნოს განსვენებულის სახელზე უმაღლეს სასწავლებელში, აღმოსავლეთის ფაკულტეტზე—ერთი სტიპენდია.

4) დაერქვას ქუთაისის ერთ უმთავრეს ქუჩას განსვენებულის სახელი.

დეპუტაციისათვის შემდეგი პირები აირჩიეს: ს. ნ. ლორთქიფანიძე, ს. ი. ხუჩინოვი, ს. გ. ყიფიანი, ი. ი. პურადაშვილი, მ. ე. ლაღიძე, ვ. ჯ. წერეთელი, კ. ნ. ჩიკვაიძე, პ. მ. მოსეშვილი და ფ. გ. მგალობლიშვილი.

ნ.—რი.

სამგლოვიარო დეპეშები.

ქალაქის თავმა ი. მ. ჩიქოვანმა საჩხერედან თავად-აზნაურთა წინამძღოლის, პეტრე წერეთლისაგან შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო:

„საქართველოს კვლავ ეწვია უბედური. ღამის პირველ საათზე გარდაიცვალა ჩვენი ძვირფასი მგოსანი აკაკი.

—

26 იანვარს, დღის პირველ საათზე, ღრმათ დამწუხრებულმა ადგილობრივმა ინტელიგენციამ, მოსწავლეთა და მრავალრიცხოვან საზოგადოების თანადასწრებით, და საჩხერეში წმ. ნინოს სახელობის ტაძარში პანაშვიდი გადაიხადა ახლად გადაცვალებულის, მცხოვანი მგოსნის აკაკის სულის მოსახსენებლათ.

—

დაობლებული გვარეულობა თავად წერეთლებისა აცნობებს მთელს საქართველოს მისის სიამაყის, დიდებული აკაკის დაკარგვას.

* * *

საჩხერიდან მოსული ზარდამცემი ამბავი სამგლოვიარო ფალასებში ახვევს მთელ საქართველოს. ვგლოვობ პოეზიის დიდებულ ქურუმს.. ერის ცრემლთა მდინარეს ვუერთებ ჩემს მხურვალე ცრემლებს.. აღარ გვყავს დიდი მგოსანი... აღარ გვყავს ენატკბილი, საყვარელი აკაკი... დადუმდა სამშობლოს ენის ზენარი მემუსიკე. აღარ ჟღერს ციური ჰანგი ქართველი ერის კვნესის, ცრემლების და იმედების... მაგრამ არა, არ მოკვდარა!

თ. აკაკი წერეთელი.

ქართულ რეალურ ლირიზმის საუკეთესო წარმომადგენელი თ. აკაკი წერეთელია.

თუ გნებავთ გაიგოთ, რა განსხვავება არის რომანტიულისა და რეალურის ლირიზმის შორის, აიღეთ ბარათაშვილის ლექსები და შეადარეთ აკაკი წერეთლის ლექსებს. ბარათაშვილი ისეთ გრძნობათა შესახებ ლაპარაკობს, „რომელთა გამოთქმაც მოკვდავთ ენითა არა ძალუძთ", ისეთი გრძნობებით არის გამსჭვალული, „რომელთა სახელი კაცთა ვერ დასდვან". მისი ფიქრები „ლაჟვარდის ცისაკენ მიისწრაფვიან და მის იქით ეძიებენ სადგურს, მაგრამ იქამდის ვერ მიაღწევენ და ჰაერშივე განიბნევიან". ბარათაშვილს „გულ დახურულთა მევობარი" ბუნება უყვარს და „სწამს, რომ არს ენა რამ საიდუმლო უასაკოთაც და უსულთ შორის" და ამიტომაც განმარტოებულს ფრიალო კლდეზე მდგარის ალვის ხის ფოთლების შრიალთა სმენა იცის და მრავალ დროის მოწამე, უტყვის მტკვრის ბუტბუტს მიაშურებს სევდიანი, ფიქრთ გასართველად". ბარათაშვილი სულით მარტოობას დასტირის, უმაღლესის სასოწარკვეთილებით ელსავსე, პირად, ინდივიდუალურ, განსაკუთრებულ, არა ჩვეულებრივ გრძნობათა გვიხატავს საოცარი ნიჭით, ერთი სიტყვით, ბარათაშვილს პოეტი ზეკაცად, არა ჩვეულებრივ ადამიანად მიაჩნია, პოეზია კი ღვთის „ტაძრად, შესაფერად, უდაბნოდ მდგარად, სად ენთო მარად უქრობელი წმინდა ლამპარი, ანგელოსთაგან იკვროდა სად დავითის ქნარი და ისმოდა ციურთ დასთა გალობის ზარი".

თ. აკაკი წერეთელი პოეტია და პოეზიას სულ სხვა გვარად უცქერის. პოეტი ის ფუტკარია (ეს ეპიტეტი ძლიერ უყვარს აკაკი წერეთელს და ხშირადაც ხმარობს), დიაღ, პოეტი „ფუტკარია, ხატის ბუზი, ზეცის მუშა, შორს მიფრინავს, სამუშაოდ, მიიმღერის უხარია! ყვავილიდან ყვავილზე გადაბზუის, გადმობზუის. აქაც წუწნის, იქაც წოწნის. სათაფლ-სანთლო მასალასა, არ იზოგავს ღვთის მოცემულს, არც ნიჭსა და არც ძალასა". პოეტი აკაკი წერეთლისა „არც დიდია არც პატარა, არც ბატონი და არც მონა, არც მიწის არის, არც ცისა, შუა კაცია უბრალო, ხან მიწის არის ხან ცისა". აკაკი პირად განსაკუთრებულ გრძნობათა გამოსახვას გვერდს უხვევს და მარტო საერთო საზოგადო ჭირ-ვარამზე ლაპარაკობს. თვით უდიდესი და უძლიერესი ინდივიდუალური გრძნობა სიყვარულისა თ. აკაკი წერეთლის პოეზიაში რაღაც საოცნებო არაჩვეულებრივ გაჰეროვნებული არსებისადმი არის მიმართული და ამგვარად ეს გრძნობა სიმბოლიურ სახეს ღებულობს. „მისი სატრფო უწინ ტურფა, დღეს კი ლეჩაქ მოხდილი"—ეს ხომ მისი სამშობლოა, ამ გვარად თ. აკაკი წერეთელი გამომხატველია საზოგადო, საერო გრძნობათა, საერთო ჭირ-ვარამისა და სევდისა. მისი ტანჯვა ხალხის უმეტესობის ტანჯვაა. მისი სევდა და მწუხარება ერის კვნესა და გოდებაა, მისი სასოება და იმედები ერის ლტოლვილება და ერის სურვილებია.

ბუნება იმდენად იტაცებს, რამდენადაც საერთო მისწრაფებათა გამომსახველია სიცოცხლე და სიკვდილი იმ-სდა მიხედვით ინტერესებს, თუ რა დამოკიდებულება აქვს მის სათაყვანო საგანთან. ამ მხრით თ. აკაკი წერეთლის მწერლობა მეტად ერთგვარია. მთელი მისი ლექსების საგალობელი საგანი ერთი და იგივეა, ერთსა და იმავე აზრზედა მღერის, მაგრამ აქვე უნა ვსთქვათ, რომ ეს სრულიადაც არ ამცირებს პოეტის ნაწერების არც ღირსებასა და არც მნიშვნელობას. ისტორიულად და ფსიხოლოგიურად სრულიად ბუნებრივია და მისახვედრი, რომ ჩვენს მგოსანს მარტო ერთი ფიქრი და აზრი უტრიალებდეს თავში. ეს მწერლის მოქალაქობრივ სიკეთესაც ამტკიცებს, ხოლო ესთეტიურად, ჩემის აზრით პოეტის ხელოვნება მით უფრო მაღლად არის დაყენებული, რამდენადაც ერთსა და იმავე საგანს ღრმად და ყოველის მხრივ დაგვისურათებს.

ყოველივე საგანი, ყოველივე მოვლენა ცხოვრებაში იმდენად რთულია და მრავალმხრივი, რომ ერთი კაცის ხელოვნება ვერც კი შესძლებს საგნის სიღრმე-სიგანით გამოსახვასა და აწერას, ამიტომაც, როცა ნიჭიერი პოეტი ერთსა და იმავე მოვლენას რამდენჯერმე შეეხება, რამდენჯერმე აიღებს თავისი გალობის საგნად, მით უფრო დაამტკიცებს ხელოვნების შეგნებასა და უნარს, თუ ყოველთვის სულ სხვადასხვა ჰანგზე მომართავს თავის ჩანგს და საგნის სხვადასხვა მხარეს დაგვანახებს.

ამით არც ის მინდა ვსთქვა, რომ თ. აკაკი წერეთლის პოეზიის საგნის მრავალგვარობა აკლდეს, ან და მთლად მთელი მისი მწერლობა ერთს საგანს ეხებოდეს. არა, თუ გნებავთ პატარა ლექსები, რიცხვით მეტი, სხვადასხვა საგნის ეხება და არა ერთსა და იმავეს. მაგრამ საუკეთესო ნაწილს აკაკის პოეზიისას და ამ საუკეთესო ნაწილის უმეტესობას საგნად ერთი და იგივე აზრი და ფიქრი აქვს, რომელიც მთელის მოაზრე და გონიერის საქართველოს მთავარი აზრი და ფიქრია.

როგორც ალექსანდრე ჭავჭავაძე უნდა ჩაითვალოს სიყვარულის მგალობელ პოეტად, რომელსაც ეს სანეტარო და სიცოცხლის მიმნიჭებელი გრძნობა მოუხამულიდა მოწამლული ჰქონდა საერთო კვნესისა და გმინვის გამო, ისე თ. აკაკი წერეთელიც იმ „სატრფოს" მგოსნად უნდა დაისახოს, რომელსაც საერთო არა აქვს რა ხორციელ სატრფოსთან, მაგრამ რომელიც პოეტის საოცარმა ნიჭმა განახორციელა, სული ჩაუდგა, ნამდვილ „ცხრაკლიტულში დამწყვდეულ ნესტან-დარეჯანად" გაიხადა და მისი ტარიელობა თავს იდვა და დღემდი დაუღალავად ისეთივე სიცოცხლით, ისეთივე გატაცებით თავს ევლებოდა ამ „სატრფოს".

„მაგრამ იცით მისი სატრფო ვინ არი?
„ძველი ტურფა, დღეს მკვდარივით მძინარი,
„ფეხ-შიშველი, თავზე ლეჩაქ ახდილი".

სიჭაბუკიდან პოეტი იმაზედ კვნესისა და ოხვრაშია; სტირის უბადრუკი და წარსულს დროებას ოცნებით ეძებს.

„მთა კლდეს შებლავის, ჩასძახის ქვესკნელს,
წყალსა მიყვირის სწრაფლ მომავალსა
„მაგრამ ვერ პოვებს ნუგეშის მცემელს
„და უმრავლდება წყლული საწყალსა",

რა ნუგეში უნდა ნახოს ან კი ბუნებაში, როცა ყოველივეს ბუნებაში და თვით ბუნებას მისთვის ერთი აზრი აქვს და ერთის აზრის საზომავით სჭვრეტს პოეტი ყოველივეს.

„მთანი და კლდენი სისხლს უჩვენებენ,
„ქვესკნელი საფლავს და ძვლებს გამხმართა,
„რომელნიც ანდერძს მოგვაგონებენ
„მსხვერპლად შეწირულთ ჩვენ წინაპართა".

სიჭაბუკიდან იმ დრომდის, ვიდრე პოეტს „გული წყლული შექმნა, სულ კრული, სახე მკვნარი, თმა ჭაღარა", არ არის ისეთი შემთხვევა, არ არის ისეთი გარემოება, რომ თავის საყვარელი სამშობლო არ აგონდებოდეს. პოეტს „ავი ტარიელ ჰგონია, ოცნებით გარემოცულსა, უხმობს ფრიდონს და ავთანდილს", რათა „მხარი მხარს მისცენ, ხელი ხელს ნესტან დარეჯან ქაჯებს ჰყავს, მოელის ტურფა გამომხსნელს".

თვით ბუნებაც-კი განხორციელებული თანამგრძნობი მეგობარია მგოსნისა, მისი თანამოაზრე. ბუნების მშვენიერება მისთვის მოწამლულა, რაკი გული სევდითა აქვს მობურვილი. მისთვის ციხე ცოცხალი არსებაა, თავისებური პოეტი რომელსაც აგონდებოდნენ ტკბილნი დრონი, თავისი პატივის და დიდებისა ოდეს გმირთ გმირი მისი პატრონი, ჩხუბების შემდეგ გამარჯვებული პირდაპირ იმას მოაშურებდა". დღეს კი ეს ამაყი ციხე „ტკბილი დროის მგოსანი იყო ტანჯვაში და შეჭმუხვნილი, ამაყი სახე მას ჩაეხატა მდინარე წყალში".

ზემოდაც მოვიხსენეთ, პოეტს „მთანი და კლდენი სისხლს უჩვენებენ, ქვესკნელი საფლავს და ძვლებს გამხმართა".

მუსიკის საკრავები მისთვის იმავე დაჯანებულის აზრისა და ფიქრის აღმძვრელია. როცა მწყემსის სალამური ესმის რომელიც „გაჰკივის მთა და ველში ტკბილსა ხმასა ცაში ჰკარგავს და სევდის შავ ქვესკნელში", მაშინ პოეტის ფიქრი მის ხმას „ვარს ეხვევა, ვითა ძმა ძმას და მისი კვნესა აგონებს საქართველოს მწარე მოთქმას, ხან თათრები აკვნესებენ, ხან თურქები აოხრებენ, ხან სკვითები დროს შერჩევით, მყუდროებას უშფოთებენ".

მეზურნის შექცევის სულ-მოუთქმელ...

იოსებ ოცხელის პასუხი ბ-ნ. ი. ცინცაძისა და შ. ამირაჯიბის წერილების შესახებ.

ბ. ცინცაძეს ვერ მოუწყლებია, რომ მიმავალ სასწავლო წლიდან ჩემდამი მონდობილ ქართულ გიმნაზიაში მას გაკვეთილები აღარ ექნება, საშინლად გაბრაზებულია და ჰქვა-ქუხილით აქცევს ყველაფერსო. რა მოხდა ამისთანა? მასწავლებელი სასწავლებლიდან გავისტუმრეთ იმის გამო, რომ იგი სასწავლებლისთვის საჭირო აღარ იყო. ბ. ცინცაძემ კარგად [illegible], რომ მომავალი სექტემბრიდან თა[illegible] ახალი პროექტისა და კომიტეტის გადაწყვეტილებისა, მოსამზადებელი კლასების კურსი იქნება სამ წლიანი და არა ოთხიანი, გარდა ამისა [illegible] მერვე კლასის ერთი პარალელი უქმდება (შეიძლებელია მეშვიდისაც), რადგანაც მოწაფეთა რიცხვი ამ კლასებში შემცირდა. აგრეთვე უსათუოდ დაიხურება პირველი კლასის მესამე პარალელი, თანახმად მეფის მოადგილისა და მზრუნველის მოთხოვნისა; ამავე მოთხოვნის ძალით გაისად უნდა დავხუროთ მეორე კლასის მესამე პარალელი, შემდეგ მე[სამ]ესი, მერე [მე]ოთხესი და ასე უნდა განვაგრძოთ სა[ნამ] ამ ჩვენი ამ ჟამად სამკეცი გიმნაზია თა[ვ]ის ნორმალურ კალაპოტში არ ჩადგე[ბა] და ორკეც გიმნაზიათ არ გ[ა]დება.

ამის გამო მომავალ წელსაც და შემ[დეგა]ც რამდენიმე ხანს დავკქირდება მასწავლებლების თანდათანობით დათხოვნა და, შენი მტერია, თუ ყოველ წლიწადს ამისთანა აურზაური ასტეხა თითოეულმა მასწავლებელმა მეტადრე ვინც ჟურნალ გაზეთთან დაახლოვებულია, გაძლება შეუძლებელი იქნება.

რაც შეეხება ბ. ცინცაძის გიმნაზიიდან გადაყენების მიზეზს, მე მგონია ჩემი განმარტებისა და სილოვან ხუნდაძისა და გ. ცაგარეიშვილის ახსნის შემდეგს გამორკვეულია, რომ აქ ჩემის მხრით შურის ძიებას არავითარი ადგილი არ ჰქონდა.

ამას გარდა ნუ თუ შესაძლებელია, ვინც კი მიცნობს, წარმოიდგინოს, რომ რადგანაც ბ. ცინცაძეს უთანხმოება მოუვიდა ჩემს ძმასთან გაზეთის ქაღალდის [illegible] შესახებ. მე ამის გამო მას სასწავლებლიდან გადავისროდი, მერე ასე უცებ ყველასათვის მოულოდნელად. ხომ წარმოსადგენი იყო ჩემთვის ის დიდი უსიამოვნება, რომელსაც სამართლიანად მომაყენებდა თვით ბ. ცინცაძე, ინსპექცია, მასწავლებელთა კორპორაცია, კომიტეტი და საზოგადოება. მე არ მიცნობენ და და არც მე ვიცნობ ჩემს თავს ისე აჩქარებულად და დაუფიქრებლად, რომ უბრალო გარეშე უსიამოვნების გამო ერთი აურზაური ავტეხო. ან როგორ დამეთანხმებოდენ მე ამ საქმეში ბ. სილ. ხუნდაძე და გერ. ცაგარეიშვილი.

ცხადია პირადი უკმაყოფილება, კიდეც რომ ყოფილიყო, აქ არაფერ შუაშია, პირიქით მე მგონია ბ. ცინცაძე ძალიან მოხერხებულ დროს ამხედრდა ჩემი ძმის წინააღმდეგ, (ვიტყვი სრულიად უსაფუძვლოდ) და ამით მე თვითონ, როგორც გიმნაზიის გამგე, ჩამაყენა უხერხულ მდგომარეობაში. ინსპექციას იმ ინციდენტის უმალ გადაწყვეტილი ქონდა ბ. ცინცაძის გაშვება სასწავლებლიდან, მხოლოდ ჯერ ოფიციალურად გამოცხადებული არ ქონდა მაშინ, როდესაც ბ. ცინცაძემ ჩემს ძმას ქაღალდის შესახებ აურზაური აუტეხა. ამ უსიამოვნო გარეშე ინციდენტის შემდეგ მე ჩემს ამხანაგებს უთხარი: ხედავთ რა ქნა ცინცაძემ, ახლა ჩვენი გადაწყვეტილების გამოცხადებას იგი კუდს გამოაბამს და ალიაქოთს ატეხს მეთქი. ამხანაგებიც გრძნობდენ, რომ ეს ასე მოხდებოდა, მაგრამ ამის გამო გადაწყვეტილების შეცვლა ხომ შეუძლებელი იყო.

მართლა მოხდა ასე: მთელი საზოგადოება აალაპარაკა ბ. ცინცაძემ და მისმა დამქაშმა ბ. ამირეჯიბმა და რომ ცილის წამებით ვერას გახდენ, თითქოს მე შურის ძიებით გადამეყენებინოს ბ. ცინცაძე მასწავლებლობიდან, დაიწყეს გიმნაზიის დანგრევა და ჩემი პიროვნების შელახვა და მოსპობა.

გიმნაზიას, რა საკვირველია ნაკლი ბევრი აქვს და შეუძლებელია, არ ქონდეს. ეს არის უდიდესი მეტად რთული დაწესებულება, რომლის მოვლა და წინ გაძღოლა მეტის მეტად ძნელია.

ამ გვარ მთავრობის სასწავლებელს თავს ადგიან სამინისტროც და დახელოვნებული მთხლეები: ოლქის მზრუნველი, მისი თანაშემწეები და მთავრობის გამოცდილი დირექტორები და ინსპექტორები და მიუხედავად ამისა ვერ ახერხებენ გიმნაზიის ჯეროვანად დაყენებას. ჩვენ კი ჩვენის ძალღონით ვმუშაობთ საშინელ გაჭირვებულ პირობებში, და მიუხედავათ ამისა გიმნაზია თავის წარმატებით და ზნეობითი მხრით არ ჩამოუვარდება სხვა საშუალო სასწავლებელს. ამას იმითი ვხსნი, რომ [illegible] ქართულ გიმნაზიაში აქამდი მაინც არსებობდა პედაგოგიური კოოპერაციის ხელიდარობა, რამდენათაც ეს შესაძლებელია ქართულ დაწესებულებაში, მეორე ჩვენს დიდ-ძალს წარმოადგენს პედაგოგიური კორპორაციით საურთიერთო კონტროლი და საერთო აზრის მოქმედება თვითეულზე. ამის გამო თვით სასწავლებლის გამგეც იმ ნაირ პირობებშია, რომ არ შეუძლია საქმეს უსუსტოს — უღალატოს — მაშინვე იგი იგრძნობს მთელი კორპორაციის უკმაყოფილობას. მახსოვს ერთი ჩვენი მასწავლებელი, მთავრობის გიმნაზიიდან გადმოსული, ხშირად ამბობდა: მთავრობის გიმნაზიაში ავათმყოფობს რაპორტს გავგზავნიდი და თვეში ერთ დღეს მაინც გავაცდენდიო აქ ავადაც რომ ვიყო, მაინც მოვდივარ, რადგან გარემოება მაიძულებსო. და მართლაც იშვიათია იმისთანა მასწავლებელი, რომელიც ჩვენს გიმნაზიაში ლალატობდეს თავის მოვალეობას.

მე სრულიად არა ვიცი, ვინ არის ის მასწავლებელი, რომელიც თითქო მთელი წლიწადი არ დაიარებოდა სასწავლებელში და ჯამაგირს კი ღებულობდა, როგორც ამას ამბობს თავის წერილში ბ. ცინცაძე; არც ის ვიცი, თუ ვინ გააცდინა ნახევარი წლიწადი? თუ ბ. ცინცაძეს იას. ნიკოლაიშვილი ყავს სახეში, ეს მასწავლებელი ძლიერ ავათ იყო ზამთარში და მხოლოდ იმის გამო გააცდინა გაკვეთილები. რაც შეეხება ბ. ს. ხუნდაძეს მას თვით მზრუნველმა კომიტეტმა გადაუწყვიტა ჯამაგირის მიცემა. გარდა ამისა ბ. სილოვანი მთელი წელიწადი გამგეობდა თუ რჩევით და თუ სხვა კერძო საქმეებით.

ამის გამო სასწავლებელში არც ერთი დიდი საქმე არ გამიკეთებია ამ წლის განმავლობაში, რომ მასაც არ შევკითხებოდი, როგორც გამოცდილსა და მცოდნე პირს. რაც შეეხება მეორე ჩემს თანაშემწეს ბ. გერასიმე ცაგარეიშვილს, და სხვა მასწავლებლებს ყოვლად ურიგო ცილისწამებაა, თითქოს იგინი ჩემი ლაქიები იყვნენ. სირცხვილია ამის თქმა. მე არაოდეს არ მიფიქრია, რომ იმდენი ძალა და უფლება მქონდეს, რომ ვინმე დავიმორჩილო და ლაქიათ გავიხადო. პირიქით ვინც იცის ჩვენი გიმნაზიის აგებულება, ის დაადასტურებს რომ მე ვარ ერთი უფროსი ამხანაგთაგანი. აი ამ ამხანაგობით დავამყარე აქამდი მშვიდობა და რამდენადმე ხელჩაკიდებული მუშაობა მთელს სასწავლებელში. აი ამიტომ არის რომ არც ერთი კარგი მხარე არა აქვს ჩვენს სასწავლებელს, რომ მისი მოზიარე არ იყოს მასწავლებელთა კორპორაცია და არც ერთი სუსტი მხარე არა აქვს სასწავლებელს, რომ მისი მოზიარე არ იყოს იგივე კორპორაცია.

სხვათა შორის ამ კორპორაციამ შენიშნა, რომ გასული სასწავლო წლის განმავლობაში ბ. ცინცაძე ხშირად აცდენდა გაკვეთილებზე, ავათმყოფობა, რასაკვირველია, პატივსადები მიზეზია, მაგრამ ხშირათ ბ. ცინცაძე რედაქციაში მუშაობის გამო გაკვეთილებზე არ დადიოდა. მე რედაქციას ისე ვექცეოდი, როგორც გიმნაზიას, და არ ვიცოდი, რამექნა. რედაქციის თითქმის მთავარი პატრონი და ჭირისუფალი მე ვიყავი და ამავე დროს გიმნაზიის გამგე და მოჭირნახულე. ამან ჩამაყენა უხერხულ მდგომარეობაში. მასწავლებლები ბუზღუნობდენ, გიმნაზიის გამგე ხელს აფარებს ცინცაძეს, და საქმე კი გიმნაზიაში ბრკოლდებაო. ინსპექციის წევრებიც უკმაყოფილო იყვნენ. ამის გამო სწორედ ამ წლის თებერვალში მე მქონდა მოლაპარაკება გაზ. „სამშობლოს" რედაქციაში ბ. ცინცაძის მეგობარს პარმენ გელაშვილთან. ამ მოლაპარაკებას სამსონ ყიფიანიც დაესწრო. კარგად მახსოვს დაახლოვებით შემდეგი სიტყვებით მივმართე ბ. გელაშვილს: ბ. პარმენ! იაკობი (ცინცაძე) პირდაპირ შექმნილია მწერლობისთვის, რედაქციაში მუშაობა მას აინტერესებს, აქ კარგია, მაგრამ იქ—გიმნაზიაში კი არ ვარგა: მასწავლებლობა უმძიმს და ეზარება. ამიტომ ვეცდები, რომ აქ რედაქციაში შევქმნა იმისთანა პირობები, რომ იგი მატერიალურად უზრუნველვყო და გიმნაზიას კი უნდა მოვაშორო, ამიტომ თქვენ გთხოვთ მოელაპარაკოთ მას, რომ მასწავლებლობას თვითონ დაანებოს თავი მეთქი.

ეს იყო მაშინ, როცა ბ. ცინცაძეს უსაზღვრო პატივსცემდი და როცა მას დაუქირავე ახალი მშვენიერი ბინა, რომელიც დღესაც უქირავს; მაშინ რომ შემძლებოდა, ჩვენი გაზეთის რედაქციას და მის სულის ჩამდგმელს ბ. ცინცაძეს ოქროს ჩადრახსაც აუშენებდი.

და ამას შემდეგ განა შესაძლებელია ვინმემ თქვას, ი. ოცხელმა მოუფიქრებლათ და სხებითვის მოულოდნელად რაღაც ისტორიის გამო აილო და ბ. ცინცაძე გიმნაზიიდან გადაისროლაო. ამ სიგიჟემდი ჯერ არ მისულვარ და ღმერთმაც ნუ მიმიყვანოს.

რაც შეეხება თვითონ ბ. ცინცაძის ფიცს, რომ იგი კარგი მასწავლებელია ამის თქმა სწორედ სირცხვილია. შეიძლება ბ. ცინცაძე კარგი პოეტი და ბელეტრისტი იყოს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი კარგი მასწავლებელია. მასწავლებლობას სულ სხვა გულის დადება უნდა, სხვა ნაირი შრომის მოყვარეობა, სხვა ნაირი მოქმედება. ბ. ცინცაძეს კი ის დიდი ნაკლი აქვს, რომ მის გაკვეთილებს მეთოდი სრულიად არ ეტყობა, არა თუ მის გაკვეთილებს თვითონ ბატონი ცინცაძის ბუნებას არ აქვს ის დამდგარი, შემუშავებული, თუ შეიძლება ვთქვა, მეთოდიური ხასიათი, რომელიც ასე საჭიროა პედაგოგისათვის, ამიტომ არის რომ მისი გაკვეთილი ერთ მთლიანს რასმე კი არ წარმოადგენს, არამედ დაფანტულსა და ნაწყვეტ ნაწყვეტს, რომლის თავის მოყრა ბავშს კი არა დიდსაც გაუჭირდება. ამიტომ არის, რომ მას არ შეუძლია წერაში გულდასმით ბავშვები ავარჯიშოს. თუ ერთი რამ უმნიშვნელო, როგორც რუსები იტყვიან, пріемъ-ი შემოიღო, — იგი მეთოდი გონია. საზოგადოთ მას სწავლების მეთოდი არა აქვს და არც იცის; კიდეც რომ იცოდეს, არ შეუძლია განსაზღვრულ მეთოდს დაემორჩილოს, მისდიოს ბოლომდი და მიზანს მიაღწიოს. აი ამიტომ იყო პირველად, როცა მისი გაკვეთილი მოვისმინე (მასთან გაკვეთილებზე შარშანაც ვიყავი და წრეულსაც.) და კლასიდან გამოვედით, მე ბ. ცინცაძეს უთხარი: თქვენ სწავლების მეთოდი არა გქონიათ მეთქი. შევატყვე არ იამა, მაგრამ ხმა არ გამცა.

მეორე და მესამე ნაკლი ბ. ცინცაძის, როგორც მასწავლებლის ის არის, რომ მან არ იცის მოწაფეებისაგან გაკვეთილის ცოდნისა და მომზადების მოთხოვნა, არ იცის მოწაფეების ცოდნის დაფასება — ყველა მის მოწაფეს ნიშნად ან 4 აქვს, ან 5, იშვიათად შეხვდებით ამაზე დაბალს ნიშანს.

ყველაფერი ეს წარმოსდგება, ვიმეორებ ბ. ცინცაძის არა პედაგოგის ხასიათისაგან და, სხვათა შორის, ეს იყო რომ მისი კეთილ ყოფისათვის მე მინდოდა იგი მოეყვანდა მის სტიქიურ, სალიტერატურო ფარგალში და მასწავლებლობაზე ხელი აეღებინებია; მაგრამ თავისი დაუდგრომელი ხასიათის გამო ამის საშუალება მომისპო.

სხვა ქართული ენის ჩვენი მასწავლებლები უფროსი კლასებისა ყველა გამოცდილი და მცოდნე პედაგოგები არიან და სწორედ ნორმალურად გავუნაწილეთ მათ გაკვეთილები. ჩვენ რომ ვიწვევდეთ ბ. ცინცაძის მაგიერს სხვა გარეშე მასწავლებელს კიდევ შეიძლებოდა წყენა და, თუ გნებავთ, აურზაურის ატეხაც, მაგრამ როდესაც გიმნაზიის კლასები შემცირდა და მე იძულებული ვარ რომელიმე მასწავლებელი გაუშვა, უპირველესად მასწავლებლის ღირებულებასა და მდგომარეობას ვაქცევ ყურადღებას. მე არ შემეძლო გიმნაზიიდან მომეშორებია არც ერთი იმ ცნობილ პედაგოგთაგანი, რომელნიც გიმნაზიაში დიდი ხანია ასწავლიან.

ბ. ცინცაძე ამ პედაგოგებთან შედარებით თანასწორი ღირებისაც რომ ყოფილიყო, მაინც იძულებული ვიქნებოდი ის გამოეთავისუფლებია, გაკვეთილებისაგან რადგანაც იგი მთავრობის სასწავლებელში შტატის მასწავლებლათ ითვლება, ხოლო აღნიშნული ჩვენი მასწავლებლები კი ჩვენი სასწავლებლის გარეთ არსად არ მსახურობენ;

გარდა ამისა ბ. ცინცაძე მოწვეული იყო მასწავლებლად უკანასკნელ წლებში პარალელების გახსნის გამო და, ცხადია, ამავე პარალელების დახურვის გამო უნდა მიეტოვებია სასწავლებელი.

იმის თქმა ბ. ცინცაძის მიერ, რომ ის პარალელები არ დახურულა, სადაც მე ვასწავლიდიო, სრულიად უსაფუძვლოა: ჩვენ ვანაწილებთ გაკვეთილებს საერთოდ და როცა ვხედავთ, რომ მასწავლებელთა რიცხვი მომეტებულია, ვათავისუფლებთ მას, ვინც სხვა სასწავლებლიდან დაიარება. სხვა სასწავლებელში სიარული სამინისტრომ აუკრძალა მთავრობის გიმნაზიის მასწავლებლებს. ეს პრინციპი ახალი შტატების შემოღების დროს გატარდა. თუმცა, მართალია, მასწავლებელს შეუძლია კლასის დამრიგებლობა არ აიღოს და სხვაგანაც აძლიოს გაკვეთილები: მაგრამ ეს იშვიათია და არაა სასურველი. სხვა დასხვა სასწავლებელში მოსიარულე მასწავლებელი ხშირად აბრკოლებს [illegible] ამიტომ დიდი გაჭირვებით [illegible] დი მე აქამდი ამ [illegible] იყო რომ მთავრობის გიმნაზიიდან მოწვეული რამდენიმე მასწავლებელი გავათავისუფლე გაკვეთილებიდან. ამიტომ გადავეცი ეპარქიული სასწავლებლის ინსპექტორის ბ. ჯაფარიძის გაკვეთილები ჩვენს მკვიდრ მასწავლებელს და უზნაძეს.

ამიტომ გავათავისუფლე გაკვეთილებისგან ბ. ეზიკოვი, რომელსაც მთავრობის ქალების გიმნაზიაში მასწავლებლის ადგილი აქვს.

რაც შეეხება ბ. მთავრიშვილს, ის სასწავლებლიდან არავის დაუთხოვია პირიქით თვითონ ითხოვა კომიტეტისაგან პენსიის დანიშვნა. კომიტეტმა დაუნიშნა პენსია და მე მომანდო, თუ ღირსეულად ნახოთ დასტოვეთ კიდევ სამსახურში (უპენსიოთ რასაკვირველია), თუ არა და გაათავისუფლეთ სამსახურისგანო (პენსიით); მე მთელი ინსპექციის დანასწრებით ბ. მთავრიშვილს წინადადება მივეცი ან დარჩენილიყო სასწავლებელში, ან პენსია მიეღო, რომელიც უნდოდა. ორივე კი ერთად არ შეიძლებოდა ახალი შტატის შემოღების გამო. ბ. მთავრიშვილმა პენსიის მიღება არჩია.

ნუ თუ აქ რაიმე დანაშაული მიმიძღვის პირიქით აქიდან ცხადათ სჩანს, თუ როგორ ვექცევი მე ღირსეულ მასწავლებელს დამოუკიდებლათ ყოველ პირად ინტერესებს და მოსაზრებაზე. ამაშია თუ გნებავთ ჩემი ღირსება. ამნაირმა ჩემმა ხასიათმა გამაძლებია მე ამდენი წელიწადი ჩვენს გიმნაზიაში: მახსოვს პირველად რომ მივედი ამ სასწავლებელში თითქმის ყველა მასწავლებელი ჩემი წინააღმდეგი იყო, პრესაში ჩემს წინააღმდეგ სწერდენ უსმინდეს სინოდში ვიღაც გარეშე პირს დეპეშაც კი გაგზავნა, არიქა „ფრანგს" ნიშნავენ მართლმადიდებელთა სასწავლებელში და ცუდათ იმოქმედებს ეს მოწაფეებზეო. სასწავლებელში რომ ყოპირველად მივდიოდი ახლო-მახლო ქუჩებზე წავიკითხე ცარცით დაწერილი „ოცხელი იეზუიტიაო", სასწავლებლის შესავალთან ქვაფენილზე შევნიშნე დიდი ასოებით დაწერილი „ოცხელი იეზუიტიაო". გამახსენდა ჩემი ყმაწვილობა: 15 წლისა არც კი ვიყავი როცა გიმნაზიაში პირველად გავიგონე ისტორიის გაკვეთილზე იეზუიტების სახელი და მოქმედება, მე და ორიოდე ყმაწვილს „კათოლიკს" სარწმუნოებისას ამხანაგებმა მაშინვე იეზუიტები გვიწოდეს. მახსოვს საშინლად ცუდად მოქმედობდა ჩემზე თუ „ფრანგის" და თუ „იეზუიტის" დაძახება. არ ვიტყვი რომ ჩემს გრძნობიერს ბუნებაზე არ დაეტოვებიოს კვალი ამ ნაირ დამოკიდებულებას — მე შევიქენი მიუკარებელი, ვგრძნობდი, რომ შემოფარგლული იყო ჩემი ცხოვრება და საკმარისი იყო ერთის ან ორი ამხანაგის დაახლოვება, რომ მარა აღარ დავშორებოდი. იმ დროის შემდეგ ცხოვრება შეიცვალა. ბათუმის ოლქის დაპრობამ რუსეთს შესძინა ჩვენი გამაჰმადიანებული მოძმეები. უპირველესად ჩვენმა მოწინავე ინტელიგენციამ იგრძნო და აღნიშნა რომ მიუხედავათ სარწმუნოებისა ჩვენი „ფრანგი", და „თათარი" ყველა ქართველია. და შესაძლებელია იმ „ფრანგსა" და „თათარს" შერჩენოდესთ იმისთანა კარგი თვისებები, რომელიც სხვას არა ქონდესთ. მოხდა იმისთანა წინსვლა, რომ უწინდელი ფანატიკოსი პატარების მაგიერ გაჩნდენ ახალი—სამშობლოს მოყვარულნი და თავდადებულნი, რომელთაგან ხშირად სიღვთო წერილის ახსნის მაგიერ გაისმის სამშობლო ქვეყნის პატრონობასა და დაცვაზე საუბარი. მიუხედავათ ამისა ზოგიერთ ინტელიგენტ პირსაც კიდევ ჩარჩენილი აქვთ გულის სიღრმეში რაღაც, რომ გულის მოსვლის დროს ძამოგძახებენ ხოლმე „იეზუიტაო". მე მახსოვს ერთი ყოვლად პატიოსანი და დამსახურებული პირი, რომელიც დიდხანს იყო ჩვენი ერთ ერთ დაწესებულების სათავეში. როცა იგი გადააყენეს სამსახურიდან საზოგადო კრებაზე ყოველ მხრიდან იძახდენ „იეზუიტიაო" მისი თანამშრომლები, შეიძლება, იმაზე მალლა არ იდგენ თავის რიგიანობით და პატიოსნებით, მაგრამ არავის გახსენებია, რომ მათთვის „იეზუიტი" დაეძახნა.

გუბერნიის განუკვეთელ ნაწილს წარმოადგენდა.

და, თუ ლაზისტანი რუსეთის საზღვრებში მოექცევა, მაშინ ხომ საქართველოს ტერიტორია კიდევ უფრო გადიდდება.

და ყოველგვარი სხვაგვარი ადმინისტრაციული და საერობო განიწილება—ელემენტარული სამართლიანობის—უარყოფა იქნებოდა.

იმავე დროს ჩვენ აღვიარებთ თითოეული სხვა ერის სამართლიან უფლებათ, მაშასადამე, საერთაშორისო ძმობასა და მეგობრობას, ან ინტერნაციონალიზმს. დიაღ! ჩვენ ინტერნაციონალისტები ვართ და გვწამს, რომ ეს დიდი ომი კაცობრიობას თვალს აუხელს და ეროვნულ უფლებათა პატივისცემას შეაგნებიებს. მხოლოდ ჩვენი ინტერნაციონალიზმი ძირიანად განსხვავდება პროლეტარულისაგან. „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდითო", ამბობენ სოციალისტები. მაგრამ მათმა შეერთებამ დიდი ძალა ვერ შეკრიბა. პირიქით, მაძინის მიერ „ახალგაზრდა ევროპა" რომ განვითარებულიყო, ისეთ ძალას შეკრებდა, რომ, ვინ იცის, ევროპის ომი დღეს იქნებ არც კი ყოფილიყო! მაძინი კი მოუწოდებდა ყველა დემოკრატიულ ელემენტს: პროლეტარს, გლეხს, ხელოსანს, ინტელიგენტსა და სხ. და, ვფიქრობ, რომ ამ დიდი ომის შემდეგ ინტერნაციონალი მაძინის მიერ არჩეულ გზასვე დაუბრუნდება და მიზნად არა მარტო პროლეტარების, არამედ ხალხთა შეერთებას დაისახავს. მაშასადამე, ინტერნაციონალიზმი უნდა იყოს არა ვიწრო, სოციალისტური, არამედ ფართო, დემოკრატიული.

როგორი უნდა იყოს ჩვენი საპარლამენტო პოლიტიკა? ჩვენი აზრით, ჩვენი დეპუტატები არც შრომის ჯგუფში უნდა ჯდენ, არც სოციალ-დემოკრატთა და არც კადეტთა ან პროგრესისტთა შორის, არამედ განცალკევებული ჯგუფი უნდა შეადგინონ, რომელსაც უმთავრესად ჩვენი განსაკუთრებული ინტერესების დაცვა უნდა ჰქონდეს მიზნად დასახული. იმავე დროს ისინი მხარს უნდა უჭერდენ სათათბიროს დემოკრატიულ ჯგუფებს საერთო დემოკრატიული რეფორმების განხორციელების საქმეში. დიაღ! სხვათა საპარლამენტო ჯგუფებში ჩვენმა დეპუტატებმა თავისი ეროვნული სახე სრულიად დაჰკარგეს და საქართველოს, შეიძლება ითქვას, სათათბიროში თავისი წარმომადგენლები არა ყავს! არავინ იფიქროს კი, ვითომ მე ჩვენს დეპუტატებს სამდურავს ვუძღვნიდე: პირიქით, მათ მდგომარეობაში ჩვენთვის მათ მეტის გაკეთება არც კი შეეძლოთ.

როგორი-ღა უნდა იყოს ჩვენი დამოკიდებულება სხვა პოლიტიკურ ჯგუფებთან? ერთმანეთის მოქმედების მსოფლ-მხედველობას რომ კრიტიკის მკვეთრი ნესტარი გავუტაროთ, ამით მხოლოდ ჭეშმარიტება გამოირკვევა, არა თუ საზოგადო საქმეს დაუშავდება რა. მხოლოდ გონებით ზანტთ ზარმაცთ ეშინიათ პრინციპიალური საკითხების გამო დაობისა!

მაგრამ იმავე დროს არაოდეს არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ ერთმანეთის თრევა, ლანძღვა და მაგარი სიტყვებით შემკობა— მიუდგომელი კრიტიკის უარყოფაა და საკითხის გამორკვევას არა თუ არ აადვილებს, არამედ ფრიად აძნელებს. და სხვისი პიროვნების პატივის-ცემა—აუცილებელი პირობაა, რომლის გარეშეც არ არის ჭეშმარიტი კრიტიკა.

დასასრულ ამ საშინელი საქვეყნო ქარტეხილის დროს საერთო, საერო საქმეთა მოსაწესრიგებლად სხვადასხვა ჯგუფის შეთანხმებული მოქმედება აუცილებელია სხვადასხვა გზით სიარულმა ხელი არ უნდა შეგვიშალოს, რომ, როცა საჭიროა, ერთად შევიკრიბოთ და ერთ ხანს ერთადვე ვიაროთ.

ვასილ წერეთელი.

მე დარწმუნებული ვარ ქართველი მაჩვენებელი რომ ჩვენი დაწესებულების სათავეში მოხვდეს, [illegible] დროს ჩვენი ზოგიერთი ინტელიგენტი მას „თათარს" დაუძახებს. ქართველი გრიგორიანი რა გინდ სინდისიერი და პატიოსანი ქართველი იყოს არ შეიძლება ხანდახან არ წამოსძახონ „მაგ სომეხი, მაგ ამისთანა და იმისთანაო"; დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ამას მოწმე ვიყავი.

ყველაფერი ეს არ ვარგა მეტადრე როცა ამას ამბობს მთელი ჯგუფის აზრის გამომხატველი გაზეთი.

მეორე მხრით რამდენია ამ ჩვენს კურთხეულ იმერეთში ყოვლად უმეცნო გაიძვერა, რომელსაც არაფრად უღირს სხვისი მატყუება, გაფუჭება, სხვისი უბედურების ნიადაგზე თავისი სარგებლობის დამყარება, და მიუხედავად ამისა არ გამიგონია და არ წამოიძახოს, რომ ვინმე მათგანს „იეზუიტი" ეძახდენ, სამაგიეროდ თუ ჩვენს საზოგადო დაწესებულებას სათავეში ეგრედ წოდებული „ურანგი" ყავს, რა გინდ კეთილი და სხვისთვის თავდადებული იყოს, მაინც „იეზუიტი" უნდა დაუძახონ. ამის მაგალითი ბევრი ყოფილა ჩვენში.

დავუბრუნდებით ზემოთ ნათქვამს. გულდათუთქული გიმნაზიაში შევედი—იქ უარესი უბედურება დამხვდა. მასწავლებლობის და შეიძლება საზოგადოების სურვილის წინააღმდეგ დანიშნული მე იქ ითაქშის არავინ მიმიღო. ყველა ჩემგან გარბოდა. მახსოვს დროებით გამგეს ვთხოვე მასწავლებლების შეგროვება, რომ ჩემი გულის ნადები მოესმინათ. სადამოს შეიკრიბენ, კრებას ავუხსენი ჩემი მისვლის მიზანი და სურვილები, და დავიწყე მუშაობა იმ რწმენით, რომ ყველასთვის სარგებლობა მომეტანა. ბუნებითად შრომის მოყვარე ადამიანი თავდაუზოგავად ვმუშაობდი, ხშირად სხვის სამუშაოსაც ვაკეთებდი. თან და თან მასწავლებლები დამიახლოვდენ—დაინახეს, რომ არც სასწავლებლისთვის და არც მათთვის საზარალო არ ვიყავი—ნდობით მომეკიდენ, და მალე მათი პატივის ცემაც დავიმსახურე. იშვიათი მოსამსახური იქნება მაღალი თუ დაბალი, რომ მისთვის კეთილი არ ვყოფილიყავი, იშვიათი მოწაფე იქნება, რომ გაჭირვებაში მათთვის შემობრივი მზრუნველობა არ გამეწიოს. მოწაფეების სარგებლობისთვის მე ხშირად დამიწყებია ჩემი თავი [illegible] პირადი ინტერესი, ოღონდ კი დახმარება გამეწია და [illegible] ჩაგირდებოდა. მაგრამ [illegible] ლიზე უფრო კეთილშობილად მოვეპყარი თვითონ ბ. ცინცაძეს. ორი წლის წინად ბ. ცინცაძეს გორში მოუვიდა სწორედ ის, რაც ახლა ქუთაისში დამართა: სასწავლებლიდან დაითხოვეს და ცინცაძემ თავისი გაზეთის „ქართლის" საშუალებით დაიწყო ლანძღვა გინება, პირიქით შეურაცყოფა და ბოლოს იძულებული გახდა გორიდან გაქცეულიყო. დარჩა უსახსროდ; ამ დროს მნახა მე და მთხოვა მასწავლებლის ადგილი მომეცა. მე ვიცნობდი მას როგორც მწერალს და აღუთქვი დახმარება. მას შემდეგ, ჩემს ძმას სიმონს მიმართა, რომელიც მაშინ ქუთაისის წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლის გამგე იყო. მაგრამ ამ დროს ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილის წარმომადგენლებმა გვაცნობეს: არ მისცეთ ადგილი ცინცაძეს: კაცი მოუსვენარი და ინტრიგანია და ბოლოს ინანებთო. მე და ჩემი ძმა საგონებელში ჩავარდით, მაგრამ ბოლოს მივიღეთ მხედველობაში მისი დევნილი, როგორც ის გკადრებს და ურავისი გაფრთხილება და წინადადება: ჯერ ჩემმა ძმამ მიიღო ბ. ცინცაძე შეტანის მასწავლებლათ წმ. ნინოს ქალთა გიმნაზიაში და ერთი ორი თვის შემდეგ, როგორც კი გაიხსნა სათავადაზნაურო გიმნაზიაში პარალელები, მეც მივეცი მას გაკვეთილები.

ამ გვარად გაჭირვების დროს ორივე ხელები გაუწოდეთ ბ. ცინცაძეს და დახმარება გაუწიეთ.

ამას შემდეგ შესდგა ქუთაისში რედაქცია ახალი მიმართულების გაზეთისა. ამხანაგობამ მომიწვია მეც. თავდაპირველათ შევედი მე ამ საქმეში (თუმცა დარწმუნებული ვარ ზოგიერთი გაოხუნებული პირი ამას ცბიერობით და იეზუიტობით ახსნის) მეტად მაინტერესებდა არა სოციალისტური, რეალურ ნიადაგზე დამყარებული ნაციონალური მიმართულება, მაინტერესებდა და მახალისებდა თვითონ ბ. ცინცაძის თავდავიწყებული იდეური მუშაობა, ის გატაცებული იყო გაზეთით, მეტს ვიტყვი, შეყვარებული იყო. სწორედ ამხანაგმა მისმა მოქმედებამ მეც ენერგია ჩამინერგა. მე უფრო გამომცემლის როლს ვასრულებდი, თუ [illegible] ერთი სიტყვით ბ. ცინცაძეს, როგორც რედაქტორს შეუქმენი ნიადაგი მისი იდეური მუშაობისთვის. გარდა ამისა ბ. ცინცაძე ერთი მასწავლებელი ქალის სახლში ბინათ იდგა; წელიწადზე მეტი იყო იქ და ქირა არ მიეცია. მასწავლებელი ქალიც გაჭირვებაში იყო და ბ. ცინცაძეც. გასული წლის დეკემბრის დამლევს გავათავისუფლე ის ქალი ბ. ცინცაძისაგან: ვიქირავე პ. ი. გოგიელისგან მშვენიერი სახლი, იქ დავაბინავე ბ. ცინცაძე და მისი გაზეთის რედაქცია. მშვენიერად მოეწყო ბ. ცინცაძე და ბედნიერად თვლიდა თავის თავს. დღესაც ის ბინა ჩემს სახელზეა, კონტრაქტი მე მაქვს შეკრული გოგიელთან, რომელსაც პირველი თვეების ფული მივეცი და მერე კი აღარ მიმიცა. გოგიელი ამ ბოლო დროს შემხვდა და მთხოვა, მე უზრუნველ ყოფილი ვარ—ვისაც მივაქირავე, იმას გადავახდევინებ ფულსაო. დღესაც ჩემია ის ბინა და ცინცაძე კი ცხოვრობს იქ, და მლანძღავს და მაგინებს. მე ჩემს მაგიერ სხვა რომ იყოს, მართლა შურის მაძიებელი, ხომ აქამდი გამოაგდებდა იმ ბინიდან ბ. ცინცაძესაც და მის რედაქციასაც. რამდენჯერმე შეუთვალე ბ. ცინცაძეს პარმენ გელაშვილს პირით, რომ გოგიელთან მოეწყო საქმე და კონტრაქტი ჩემთვის შეეხსნა, შეუთვალე ბ. რაფიელ დათეშიძესაც, მაგრამ არაფერი გადაჭრილი პასუხი არ მომცეს.

გაგიგონიათ ამისთანა უსამართლობა? ჩემ მიერ დაქირავებულ ბინაზე იყოს ჩემს წინააღმდეგ ამხედრებული პირი, მე ფულს ვიხდიდე და ის ბინით სარგებლობდეს და მე მაგინებდეს. მეტი გზა არა მაქვს, კიდევ უნდა ვუყურო სინიდისს და თუ ვერ მოვახერხე კონტრაქტისაგან თავის აშვება, უნდა დავითხოვო იმ ბინიდან ბ. ცინცაძე და ამისთვის ნურავინ გამკიცხავს. აი ამაზე იყო ბ. პარმენ გელაშვილს რომ უთხარი, კაცი ტოტზე იჯდა და იმ ტოტს სჭრიდა მეთქი. ბ. ცინცაძემ კი ეს ანდაზა სასწავლებელზე გადაიტანა.

აქედან დაინახავს მკითხველი, თუ რანაირი მზრუნველობით ვეპყრობოდი მე ბ. ცინცაძეს, როგორც მწერალს, და თუმცა ამავე დროს მასწავლებლობიდან მისი გადაყენება განზრახული მქონდა, მაგრამ სამაგიერო მატერიალურ საშუალებას მისთვის თვით რედაქციაში ვეძებდი: [illegible] ანი, გრ. ბარათაშვილი გ. ბაქრაძე და სხვ. ამას უსათუოდ კიდეც განვახორციელებდი მაგრამ დაუდევარმა ხასიათმა მოსვენება არ მისცა ბ. ცინცაძეს—არ მოიხრა არაფერი და ლანძღვა გინებით მომაწყურა. მერე რისთვისაც ხმიდათ თვითონ ბ. ცინცაძისაგან გამიგონია: თუ რედაქციის საქმე კარგად წავიდა, სათავადაზნაურო გიმნაზიასაც თავს დავანებებ და წმ. ნინოს სასწავლებელსაცო. მაშ რაღა უნდოდა მეტი, თუ რედაქციაში უზრუნველ-ყოფილი დარჩებოდა. მაგრამ ბ. ცინცაძეს არაა ყველაფერი; გაცხარებული და გულმოსული მოურავს ბ. ცინცაძე ახლა ათას სიცრუეს სთხზავს და მიგონებს. თავის უკანასკნელ წერილში ამბობს: სამსონ ყიფიანი ჩემთან მოვიდა და მთხოვა ი. ოცხელს შეურიგდიო მე შევატყვე ი. ოცხელის გამოგზავნილი იყოო. ცუდი შეტყობა გქონდათ, ბ. ი. ცინცაძევ, და მაგისთანა საქმე რომ მექნა, სწორედ სულმდაბალი ადამიანი ვიქნებოდი.

პირიქით სამსონ ყიფიანმა მითხრა, ცინცაძეს მე ვურჩიე თქვენთან მოსვლა და მოლაპარაკებით შესაძლებლად დაინახავთ თუ არაო? მე გთხოვე მიტომ სამსონ ყიფიანს, საჯაროთ გამოაცხადოს რა ვუპასუხე ამაზე მე უთხარი: ბ. ცინცაძესთან მე არაფერი საქმე მაქვს არ მოვიდეს ჩემთან, მე მას ხმას არ გავცემ მეთქი. განა გავს ეს იმას, რაც ბ. ცინცაძემ შეთხზა?

გარდა ამისა ბ. ცინცაძე ვაჭარს და ჩარჩს მეძახის. სირცხვილია ბ. ცინცაძისთვის ამის თქმა. აბა რომელმა ჩარჩმა გადაყარა ფული ისე, როგორც მე ჩავყარე იმერეთისა, ახლა ივერიისა და სამშობლოს რედაქციაში. ხომ იცით რომ ერთი წლის განმავლობაში ორას თუმანზე მეტი დამეხარჯა. თუ ჩემს ძმას ეძახით ჩარჩს, იმასაც ხომ წავითვით მე და თქვენ ბ. ცინცაძევ 220 მან. გაზეთის ქაღალდის ფული. ეს არის ჩარჩობა! თუ იმას ფიქრობთ რომ მე ჩემი ძმის დავ. ოცხელის საკანცელარიო მაღაზიაში რამე მკუთვნის ძლიერ სცდებით ის მაღაზია დავ. ოცხელის საკუთრება არის—მასთან არაფერი საერთო არა მაქვს მის საქმეში.

რაც შეეხება წიგნის მაღაზიას ეს მართალია, თავიდანვე მაინტერესებდა, მაგრამ არა იმ მხრით რომ იგი რამე შესამჩნევ ნივთიერ საშუალებას მაძლევდა. [illegible] იცის, თუ რას წარმოადგენს წიგნის მაღაზია. ამ საქმით [illegible] კაცი ჩემზე არ მინახავს. ეს ამიტომაა, რომ ეგი ნახევრად მაინც კულტურული საქმეა. მახსოვს პირველად მთავრიშვილთან ერთად წიგნის მაღაზია რომ გავხსენით განსვენებულმა ი. გოგებაშვილმა ბ. მთავრიშვილს წერილი მოწერა ულოცავდა წიგნის მაღაზიის გახსნას და თან ამბობდა კარგი წიგნის მაღაზია იგივე კულტურული დაწესებულებააო. მას შეუძლია ბევრი სარგებლობა შესძინოს ჩვენს საზოგადოებასო. აი ეს მხარე ყოველთვის მაინტერესებდა: პეტერბ. უნივერსიტეტის პროფესორმა სტასულევიჩმა წიგნის მაღაზია გახსნა, რომელიც დღესაც არსებობს და რომელმაც დიდი სარგებლობა მოიტანა იმით, რომ გამოსცა ბევრი შესანიშნავი საკრიტიკო და მეტადრე საისტორიო წიგნები.

ჩვენმა წიგნის მაღაზიამ ჩემი დახმარებით შექმნა იმისთანა წიგნები, რომლის არსებობა დღეს წარმოუდგენელი იქნებოდა, წიგნის მაღაზიამ ოცამდი წიგნი გამოსცა ამ რამდენიმე წლის განმავლობაში. ცრუ და ბოროტებით გამსჭვალული ადამიანი იტყვის ყველაფერი ეს პირადი მატერიალური სარგებლობისთვის ქნესო. ვინც უნდა მოვიდეს ჩემთან, დავუმტკიცებ, რომ ეს ტყუილია. შარშან მაგალითად წიგნის მაღაზიამ გამოსცა სტუდენტების კრებული „ცხოვრება და მეცნიერება მათ წასახალისებლად და პატივისცემისთვის, მაღაზიას დაუჯდა ეს გამოცემა 800 მანეთზე მეტათ, მიუხედავათ ამისა მისი მოგება წიგნის მაღაზიამ მთლად სტუდენტებს უძღვნა. ნუ თუ ესეც ვაჭრობაა და ჩარჩობა? ან რაღაც ფარული ეშმაკობა და გაიძვერობაა?

ან თუ გნებავთ ბ. ცინცაძის გარიგებული საქმე ავიღოთ. ორი წლის წინად ბ. ცინცაძის შუამდგომლობით წიგნის მაღაზიამ იყიდა ბ. შიო მღვიმელისაგან მისი სრული თხზულების გამოცემის უფლება და ამისთვის წინდაწინ მისცა, 400 თუ 500 მანეთი. აგერ ორი წელიწადია თხზულება ისე დევს უსარგებლოთ და წიგნის მაღაზიას არ აქვს იმდენი საშუალება რომ იგი სასურველად გამოსცეს. ეს არის ჩარჩობა? ჩარჩობა ეს კი არ არის, ბ. ცინცაძევ! ჩარჩობა ის არის, რომ თქვენ ორი წლის წინათ ხელის მოწერა გამართეთ თქვენს თხზულებებზე, ფული აიღეთ, შეჭამეთ და საზოგადოებას კი ატყუებთ სამხედრო ცენზურა არის ახლა და არ შეიძლება ჩემი თხზულებების გამოცემაო. ამ უკანასკნელ წელს გამოიცა სილ. ხუნდაძის თხზულებათა კრებული (არა ხელის მოწერით), ჯაჯუ ჯორჯიკიას თხზულება (აგრეთვე არა ხელის მოწერით) და არა ხაიროდ მოხდა, რომ თქვენი თხზულება ვეღარ გიმოვიდა. როგორც ნამდვილათ გვიგე ოვით ცენზორისგან სამხედრო ცენზურა არსებობს მხოლოდ პერიოდიულ გამოცემაზე და არა თხზულებებზე—და ამიტომ თქვენი თავის მართლება, ბ. ცინცაძევ, საზოგადოების წინაშე სიყალბე და სიცრუეა. ჩარჩობაზე უარესი კიდევ ის არ არის, რომ ბ. ცინცაძე სულ უკანასკნელ დრომდი ჩემს ქებასა და დიდებაში იყო იმიტომ თურმე რომ მას მატერიალურ საშუალებას ვაძლევდი და როცა ეს მოაკლდა (სულ ერთი თვეა მას აქეთ) ახლა მხათ არის ალმგავოს პირისაგან ქვეყნისა.

ამ გვარივე ჩარჩობაა ბ. ცინცაძის ძხრით რომ გაზ. „სამშობლოს" ფურცლებზე რ. დათეშიძის ქება დიდების შემდეგ მან მიიღო მისგან 300 მანეთი დახმარება.

დასასრულ შეცნებულ საზოგადოებასთან ერთად არ შემიძლია ჩემი დიდი განცვიფრება არ გამოვუცხადო.

შარშან სწორედ ამ დროს ბ. ცინცაძე სწერდა თავის გაზეთის ფურცლებზე: შეუძლებელია შეურიგდეს ქართული ერი გიმნაზიის იმისთანა გამოცდილი ხელმძღვანელის გადაყენებას, როგორიც არის იოსებ ოცხელიო. ეს რომ პოლონეთში მოხდეს მთელი ერი ფეხზე დადგებაო და სხვა ამგვარი.

გავიდა ერთი წელიწადი და თქვენ გგონიათ ბ. ცინცაძეს ჩემზე აზრი შეეცვალა. სრულიად არა. ამ უკანასკნელ დრომდი ის ყველგან მაქებდა და მადიდებდა, პატიოსან კაცს მეძახდა და სხვა. პირში მე მეუბნებოდა: ოღონდ თქვენ მყავდეთ ბ. იოსებ და სხვა არავინ მინდაო. ეს გადაიქცა მის სტერეოტიპურ ფრაზათ, რომელსაც, როგორც გავიგე, სხვებთანაც კი ამბობდა ჩემს შესახებ. ეს იყო ერთი თვის წინათ—მაისში და ახლა კი უცებ იმის გამო რომ ბ. ცინცაძეს მასწავლებლობაზე უარი ვუთხარი თვით სასწავლებლის ინტერესის მიდხედვით—ამხედრდა ბ. ცინცაძე ჩემს წინააღმდეგ: იმის გაზეთი, ახლა ამბობს არ ვარგა ი. ოცხელი გიმნაზიის გამგეთ—ქართველი ერი ახლა უნდა ადგეს ფეხზე და იგი სასწავლებლიდან გააძევოსო.

თვით სასწავლებელსაც კი მოსდგენ ბ. ცინცაძე და ამირაჯიბი და მის დანგრევას ლამობენ. ჩემ ღირსებას და პიროვნებას ხომ სრულიად მოსპობას უპირობენ. ის კი არა, რაც ჩემსა და ჩემი ძმების გარეშემოა: წიგნის მაღაზიაა იგი, თუ საკანცელარიო, ცდილობენ დასცენ ყველაფერი საზოგადოების თვალში. განა ეს არ არის შურის ძიება? აბა რა ჯანდაბაა.

თვით ბ. ამირაჯიბისაგან ვუკ. ბერიძის, გიორგი ბადრიძის ვასილ წერეთლის და სხვების თანდასწრებით გამიგონია: ბ. იოსებ! თქვენ უდგიხართ სათავეში ორ კულტურულ დაწესებულებას, ჩვენს რედაქციას და ჩვენ გიმნაზიას. თქვენ რომ არ იყოთ ჩვენი რედაქცია ვერ იარსებებდა, თქვენის მეოხებით გიმნაზია ჩინებულად გყავთ დაყენებული და სხვა და სხვა, მას შემდეგ კაი ხინი გავიდა და ბ. ამერაჯიბს აღარ შევხვედრივარ. შეიძლება მან გამოიცვალა ჩემზე აზრი, მაგრამ, რატომ სდუმდა. რატომ აქამდი ხმას არ იღებდა არც ერთს გაზეთში. ნუ თუ ბ. ცინცაძეს და ამერაჯიბს აჩერებდათ ჩემი პირადი უანგარიშო მატერიალური დახმარებას. აქ მიხსენებდა უკვდავი აკაკის „კუდქიცინა მურია"

„გილაქუცებს, როცა შია-წყურია
გიყეფს და გკბენს, როცა უმადურია".

ამისთანა მწერლებს და პუბლიცისტებს ბ. ცინცაძევ და ამერაჯიბო არაოდეს არ ექნებათ გავლენა საზოგადოების აზრზე. ამიტომაა რომ ახლა თქვენ ჩემს წინააღმდეგ ამხედრებას არავითარი ძალა აქვს... და ნუ გაგიკვირდებათ!

ი. ოცხელი.

ხელი მოაწერეს..

სახელმწიფო სათათბიროში მთავრობის დეკლარაციის გამო კამათი დარულდა.

რუსეთის ყოველ მოსახლე ერთა წარმომადგენლებმა თავის ერის პროგრამი გადუშალეს და მოთხოვნილებანიც წარუდგინეს.

ჯაფაროვმა—მუსულმანებისაგან
პაპაჯანოვმა—სომხებისაგან
ფრიდმანმა—ებრაელებისაგან
გოლდმანმა—ლატიშებისაგან
რამოტმა—ესტებისაგან
იანუშკევიჩმა—ლიტვის დემოკრატიისაგან.
ფალკერზამმა—რუსეთში მოსახლე გერმანელებისაგან.

ვეძებდი ქართველის სახელსა.

ვეძებდი საქართველოს დამეჩავებული ხალხის [illegible] პროგრამის ხსენებასა და ერის სურვილების განცხადებასა.

ვეძებდი „ჩვენი დეპუტატების" კარლო ჩხეიძის და აკაკი ჩხენკელის გვარებსა.

თანაც ვფიქრობდი: ნუ თუ ასეთ დროს, [illegible] ში, როდესაც მისი შვილნი მიმართულების განურჩევლად თავის სამშობლოს ინტერესებს უვლიან და იცავენ, ქართლ-კახეთ-იმერეთის დეპუტატები—კ. ჩხეიძე და ა. ჩხენკელი ასეთ დიად წუთში ქართველი ერის მოთხოვნილებათა მცველად არ გამოვლენ?

მაგრამ ტყუილად ვეძებდი. არ გამოვიდნენ.

რუსეთის ცხოვრების ასეთი შესანიშნავი პოლიტიკური მომენტის დროს, შესანიშნავის მით, რომ პირველად და გაბედულად მთავრობის წინ წარუდგნენ მისი მოსმალე ყველა ერები თავისი სახელებით და სურვილით,—ქართველი დეპუტატები თურმე ჩუმად და ლაჩრულად ჩაკეტილან სავარძელში, ხმა კრინტიც არ მოიხსენეს ქართველი ხალხის წყლულები და ამ საქციელით სრულიად წაშალეს, მთელი მსოფლიოს წინაშე ქართველი ერის სახელიც და რუსეთის პოლიტიკური წრეების წინაშე ჩამარხეს მისი ეროვნული სახე.

რა საყვედური ეთქმისთ ეხლა რუსეთის წრეებს,

. . . .

არავითარი საყვედური! პირიქით, მართალნი არიან, რადგანაც არც ჩვენთვის თურმე არსებობს საქართველო.

საქართველოდან გაგზავნილი ორი დეპუტატი ამას ადასტურებს და ბეჭედს აკრავს. 19 ივლისს 1915 წელს სახელმწიფო სათათბიროს ისტორიულ კრებაზედ საქართველო წაიშალა.

და მისი წამშლელნი ქართველი სოციალისტები იყვნენ.

კარლო ჩხეიძე და აკაკი ჩხენკელი.

კამათი სათათბიროში დასრულდა.

ქართველ ერს მოსარჩლე არ გამოუჩნდა. ქართველმა სოციალისტებმა არ იკადრეს გამოსარჩლება ქართველი ჩაგრული და აწიოკებული ერისა.

მათ კვლავ ანაცვალეს ერის უმაღლესი ინტერესები თავის ვიწრო ჯგუფურ ინტერესებს მიუხედავად იმისა, რომ დღეს ყველა სხვა ერთა სოციალისტები მედგრად აცავენ თავის მშობლიურ ინტერესებს. ეს ჩვენებური ჟანრია.

ქართველი კონსერვატორი უფრო მონარხისტია ვიდრე თვით მონარხი.

უფრო ფანტაზიორია ვიდრე თვით ფანტაზია.

მოწაფე უფრო სოციალისტი ვიდრე თვით მასწავლებელი.

სოციალიზმის მასწავლებელმა და ბელადმა გერმანიის [illegible] ერის განწირვის დღეებში სოციალისტური დროშა [illegible]

ასევე მოიქცნენ ფრანგ, ინგლის, იტალიის, ბელგიის სოციალისტები.

მარტო ქართველი ლილიპუტი სოციალისტები კვლავ თავის ორთოდოქსალური სოციალიზმის პაწაწინა დროშას ფრიალებენ და რომ იგი ქვეყანას [illegible] დიდად ეჩვენოს, ზედ წარწერა [illegible]

რუსეთის სოციალ დემოკრატიის მუშათა პარტია!

და გაშმაგებულად იცავენ რუსეთის მუშებს, „ებრაელ" რუს კაპიტალისტებს და მუდამ დღე დაუღალავად [illegible] რუს მინისტრებს ბურჟუაზიისათვის და ყველა ვიგინდარებისათვის.

ეს სახელია და აბა კარლო ჩხეიძე „დიდ სახელს" როგორ დაუთმობს პატარა ქართველი ერის მცველის სახელს?

თუნდა რომ ქართველი მუშა კვნესოდეს და იღვნებოდეს, თუნდა ქართველი თავის მიწა-წყლიდან იყრებოდეს, თუნდა მთელი ქართული ცხოვრება აოხრებული აწიოკებული სულსაც ლევდეს.

ჩვენ სოციალისტებისათვის ეს „პაწაწუნა საკითხია" და არც ყურადღების ღირსი.

მით უფრო, რომ იგი არც სახელს მოუხვეჭს და არც რუსეთის იმპერიალისტური წრეების მადლობასა და პატივსცემას დაიმსახურებს.

ქართველ ერს გინდ სამარის მიწა [illegible] აყარონ—ეს ქართველ სოციალისტებს [illegible] აწუხებთ.

და თუ მოუხდათ, სხვებთან ერთად [illegible] ვის წილსაც მიაყრიან.

19 ივლის 1915 წელს რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დიად დღეს ქართველი სოციალისტები სწორედ ასე მოიქცენ: საუკუნოდ ხელი მოაწერეს თავის მძიმე დანაშაულს ქართველი ხალხის [illegible] ვნული დღევანდელი ინტერესების და [illegible] მავალის წინაშე.

საქ.

დ. კახელი.

P. S. „სახალხო ფურცელი" აცხადებს: „რედაქციისაგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო კარლო ჩხეიძის ფრიად საინტერესო სიტყვა, წარმოთქმული სახელმწიფო სათათბიროში, ვერ იბეჭდებაო". სამწუხაროდ, ჩვენამდის ჯერ არ მოუღწევია ამ „საინტერესო სიტყვას" და ამიტომ, რასაკვირველია, გადაჭრით ვერაფერს ვიტყვით მის შესახებ.

რაც შეეხება ბ. „შ. ამირეჯიბის" ფილიპიკას მათ წინააღმდეგ, ვინც ჩვენი დეპუტატების საპარლამენტო ტაქტიკას კრიტიკული საზომით სწონავენ და ზომავენ, ყოვლად შეუწყნარებლად მიგვაჩნია. ჩვენ რომ მათი შეცდომების შესახებ ხმა არ ამოგვეღო და მათი ყველაფერი, ავიცა და კარგიც, თანაწორად მოგვეწონებია, ისინი, მთლად [illegible] გვერდს ჩვენს უმთავრეს ეროვნულ მოთხოვნილებათ. ბ. შ. ამირეჯიბი ბძანებს, „კარლო მთელ თავის სიცოცხლეში უსამართლობას ებრძოდაო". მართალია, მაგრამ იმავე დროს ის ჩვენს სამართლიან ეროვნულ მოთხოვნილებასაც ებრძოდა. და სწორედ ამიტომ ვფიქრობთ, რომ ის, რა ღირსებითაც არ უნდა იყოს შემკული, ვერ იქნება ქართველი ერის ნამდვილი წარმომადგენელი.

„ჩვენს დეპუტატებს ყოველი ბრალდება და ეჭვი უნდა ჩამოვაშოროთ და უსაზღვრო ნდობა უნდა გამოუცხადოთ", გვეუბნება ბ. შ. ამირეჯიბი. გვაშოროს ღმერთმა კრიტიკის ასე აბსოლიუტურად, უპირობოთ უარყოფა! მაშინ ხომ დეპუტატებიც საღათას ძილში ჩაცვდებოდნენ და არც ჩვენს ეროვნულ საქმეს ეშველებოდა-რამე!

არა, ბ. შ. ამირეჯიბო. უსაზღვრო ნდობით ვერაოდეს ვერავის ვერ შევმოსავთ და, რაც უნდა პატივსა ვსცემდეთ ჩვენი დეპუტატების პირად ღირსებასა და გვწამდეს მათი გულწრფელობა მათს უცოდველობას მაინც ვერ აღვიარებთ და მოვითხოვთ მათგან, როგორც ჩვენი წარმომადგენლებისაგან, ანგარიში გაუწიონ ჩვენს კრიტიკას.

მერე კიდევ, რა სახსენებელია აქ ან ბრალდება ან ეჭვი? ჩვენ ხომ პროკურორები არა ვართ ან ჭორის მოყვარეები! ჩვენ—ჩვენს ეროვნულ ტკივილს მოვსთქვამთ და ვჩივით. და, ტკივილის სიმწარისაგან რომ ხანდახან უსამართლო საყვედურიც დაგვცდეს, მათ ამას გვერდი უნდა აუარონ და, პირიქით ღრმად უნდა ჩაუკვირდენ ჩვენი საჩივარის მიზეზებს. და ჩვენცა და მათაც საზოგადოს, საერო საქმეს უნდა დავუმორჩილოთ პირადი თავმოყვარეობა და კრიტიკას, თუნდა ულმობელსა და სასტიკს, სრულიადაც არ უნდა შევუშინდეთ!

ვასილ წერეთელი.

რედაქტორ-გამომცემელი **ზრ. ჭელიძე.**